

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმა

N	კანონპროექტის დასახელება	კანონპროექტის მომზადების აუცილებლობის დასაბუთება და კანონპროექტის მოკლე აღწერა	ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის მიღებისათვის აუცილებელი ფინანსური სახსრების შესახებ	<p>თუ კანონპროექტი გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორემ მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან და ითვალისწინებს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას, მითითება აღნიშნულის შესახებ</p>
---	--------------------------	--	---	---

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

<p>1.</p>	<p>„ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“</p> <p>(ახალი კანონპროექტი)</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტი მიღების შემდეგ შეცვლის არსებულ კანონს „სპორტის შესახებ“, რომელიც ხანგრძლივი პერიოდია, რაც ვეღარ პასუხობს სპორტის სფეროში არსებულ გამოწვევებს. ახალი კანონი სრულიად ახალი, თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი მიდგომებით მოაწესრიგებს სფეროს, განსაზღვრას ძირითად ტერმინებს სპორტის სფეროში, სპორტის სახელმწიფო მართვის სისტემას, მოაწესრიგებს კვალიფიკაციისა და ინფრასტრუქტურის, სპორტული ორგანიზაციების მართვის, სპორტში არსებული დარღვევების (გარიგებული თამაშები, დოპინგი, ძალადობა) და სხვა საკითხებს და შექმნის მექანიზმებს სფეროს უფრო მეტად ეფექტური მართვისა და განვითარებისთვის.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>გამომდინარეობს</p>
<p>2.</p>	<p>„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>2014 წლის 1 იანვრამდე დაფუძნებულ/რეორგანიზებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს გაუგრძელდება უფლება, განახორციელონ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა/სკოლებმა, და მიიღონ კანონით გათვალისწინებული დაფინანსება.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
<p>3.</p>	<p>„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო</p>	<p>კანონპროექტი არეგულირებს სსიპ - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისა და სსიპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საკითხებს.</p> <p>ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საშტატო ნუსხის, სახელფასო ფონდისა და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებელი პირების ფუნქციებისა და რაოდენობის განსაზღვრა შესაძლებელია შეთანხმდეს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დამტკიცებული შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფისა და მართვის ავტომატური საშუალებების მეშვეობით, სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

	ცვლილებებთან ერთად)			
4.	<p>„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება შეეხება მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის რეგულირების სფეროს და სახელწოდების შეცვლას.</p> <p>კანონპროექტის მიხედვით, ცვლილება შეეხება მასწავლებლის განათლებისთვის დადგენილ მოთხოვნებში და ითვალისწინებს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემოღებას.</p> <p>-----</p> <p>„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებით მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი. ცვლილება ითვალისწინებს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებულ რეგულაციებს (პროგრამაზე სწავლის დაფინანსება, ხანგრძლივობა და ა.შ.)</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<p>5.</p>	<p>„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტის მომზადების აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ კოდექსის ამოქმედების შემდგომ პრაქტიკაში გამოვლინდა რიგი ხარვეზები და ტერმინოლოგიური შეუსაბამოებები, რაც დაზუსტებას საჭიროებს.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
<p>6.</p>	<p>„ერუშეთის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“</p> <p>(ახალი კანონპროექტი)</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტის მიზანია, ახალციხის და ასპინძის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე, ახალი დაცული ტერიტორიის - ერუშეთის ეროვნული პარკის დაარსება და მის მართვასთან დაკავშირებული ძირითადი სამართლებრივი საკითხების მოწესრიგება. ერუშეთის ეროვნული პარკის დაარსებით უზრუნველყოფილი იქნება აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული მდიდარი ბიომრავალფეროვნების დაცვა.</p>	<p>2021 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი უნდა იქნას 506 000 ლარი, რომელიც საჭირო იქნება ერუშეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დასაკომპლექტებლად და აღჭურვისათვის, კერძოდ 186 000 ლარი გამოყოფილი უნდა იქნას შრომის ანაზღაურებისათვის, 240 000 ლარი აღჭურვილობის შესაძენად და 80 000 ლარი კაპიტალური ხარჯებისათვის.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

7.	<p>„კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტი დაკავშირებულია ზუთხისებრთა სახეობების თევზების დაცვასთან. იზრდება კოლხეთის ეროვნული პარკის ფართობი ზღვის ნაწილში, დაახლოებით 778.6 ჰექტრით.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
8.	<p>„თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტის მიზანია კანონში თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალის და თუშეთის ეროვნული პარკის დემარკაციის შედეგების ასახვა. დემარკაციის შედეგად მაღალი სიზუსტით განისაზღვრა აღნიშნული დაცული ტერიტორიების ფართობები, საზღვრის ზუსტი პერიმეტრი და კოორდინატები. დაცული ტერიტორიის საზღვრების გარეთ გამოტანილი იქნა დაცული ტერიტორიისათვის არატიპიური ინფრასტრუქტურა (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ობიექტი, სასაფლაოები, სახელმწიფო და ადგილობრივი მინიშვნელობის გზები, საკულტო ნაგებობები, წყლის სათავე ნაგებობები და სხვა) და ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ტერიტორიები.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
9.	<p>„ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p>	<p>კანონპროექტის მიზანია კანონში ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის, რომის ბუნების ძეგლის და ასის ალკვეთილის დემარკაციის შედეგების ასახვა. დემარკაციის შედეგად მაღალი სიზუსტით განისაზღვრა აღნიშნული დაცული ტერიტორიების ფართობები, საზღვრის ზუსტი პერიმეტრი და კოორდინატები. დაცული ტერიტორიის საზღვრების გარეთ გამოტანილი იქნა დაცული ტერიტორიისათვის არატიპიური ინფრასტრუქტურა (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ობიექტი, სასაფლაოები, სახელმწიფო და ადგილობრივი მინიშვნელობის გზები, საკულტო ნაგებობები, წყლის</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

	(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	სათავე ნაგებობები და სხვა) და ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ტერიტორიები.		
10.	<p>„ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	კანონპროექტის მიზანია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის გაფართოება. შესაბამისად, ახალი საზღვრების/კოორდინატების ასახვა კანონში. კერძოდ, ცვლილების მიზანია დიდი ზომის მუძუმწოვრების და უპირველესად, საქართველოს წითელი ნუსხის ორი სახეობის, კავკასიური კეთილშობილი ირმის (<i>Cervus elaphus maral</i>) და კავკასიური არჩვისათვის (<i>Rupicapra rupicapra caucasica</i>) ეკოლოგიური დერეფნების შექმნა დასავლეთ მცირე კავკასიონზე.	2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი უნდა იქნას 151 000 ლარი, რომელიც საჭირო იქნება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში დამატებით 6 თანამშრომლის ასაყვანად და მათი აღჭურვისათვის, კერძოდ 66 000 ლარი გამოყოფილი უნდა იქნას შრომის ანაზღაურებისათვის, 85 000 ლარი აღჭურვილობის შესაძენად.	არ გამომდინარეობს
11.	<p>„წყლის რესურსების მართვის შესახებ“</p> <p>(ახალი კანონპროექტი)</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო</p>	კანონპროექტის მიზანია წყლის რესურსების მართვის ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, ევროპული სტანდარტების შესაბამისად. დღეისათვის მოქმედი „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც მიღებულია 1997 წლის 16 ოქტომბერს, ფაქტიურად არ რეგულირდება წყლის ბუნებრივი რესურსების მართვასთან, აგრეთვე წყლის ობიექტებით სარგებლობასთან და განკარგვასთან დაკავშირებული საკითხები. სამართლებრივი რეგულირების მიღმა არის დარჩენილი წყლის რესურსების დაცვისა და წყლით რაციონალური სარგებლობის თვალსაზრისით ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიც არის წყალსარგებლობის მთელი რიგი ფორმები (მათ შორის ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღება), ჩამდინარე წყლებით წყლის	კანონპროექტის მიღება დაკავშირებული იქნება სააუზო მართვის დანერგვისათვის სავალდებულო ინსტიტუციური ცვლილებების გატარებისთვის (საქართველოს გარემოს	გამომდინარეობს

	<p>ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>ობიექტების დაბინძურება (წყალჩაშვება) და სხვა. კანონის მიზანია წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპების შესაბამისად და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნისთვის, შიდა ზედაპირული წყლების, გარდამავალი წყლების, სანაპირო წყლების და მიწისქვეშა წყლების დაცვისა და მდგრადი გამოყენებისთვის ძირითადი საფუძვლების ჩამოყალიბება.</p>	<p>დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების გაძლიერება) აუცილებელი ხარჯების გამოყოფასთან. მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების ამოქმედების შემდგომ, აუცილებელი ხარჯების ოდენობა დამოკიდებული იქნება აღნიშნული გეგმებით დადგენილი ღონისძიებების ხასიათსა და მასშტაბზე.</p>	
<p>12.</p>	<p>„ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტის მიზანია ნარჩენების მართვის კოდექსში გარკვეული საკითხების დაზუსტება, კერძოდ, კოდექსის მოქმედების სფეროდან გამოსატანია:</p> <p>ა) ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი, მათ შორის „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი (ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N605 დადგენილების შესაბამისად გადამუშავებული პროდუქტისა, გარდა ინსენერაციისათვის, ნაგავსაყრელზე განთავსებისათვის ან ბიოგაზის ან კომპოსტირების საწარმოსათვის განკუთვნილისა;</p> <p>ბ) მკვდარი (არ მოიაზრება დაკლული ცხოველების ტანხორცი), მათ შორის ცხოველები, რომლებიც მოკლულ იქნა ეპიზოოტიური დაავადებების აღმოსაფხვრელად და რომლებიც განიკარგება „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი (ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N605 დადგენილების შესაბამისად.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>გამომდინარეობს</p>

		<p>ამასთან, ნივთიერება ან საგანი, რომელიც მიღებულია ისეთი წარმოების პროცესის შედეგად, რომლის მიზანიც არ არის აღნიშნული ნივთიერების ან საგნის წარმოება, შესაძლებელია არ იქნეს მიჩნეული ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად განსაზღვრულ ნარჩენად, არამედ ჩაითვალოს ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:</p> <p>ა) ნივთიერების ან საგნის შემდგომი გამოყენება წინასწარ არის განსაზღვრული;</p> <p>ბ) ნივთიერების ან საგნის პირდაპირ გამოყენება შესაძლებელია გადამუშავების გარეშე, გარდა ჩვეულებრივი საწარმოო პრაქტიკით განსაზღვრული გადამუშავებისა;</p> <p>გ) ნივთიერება ან საგანი იწარმოება, როგორც წარმოების პროცესის განუყოფელი ნაწილი;</p> <p>დ) ნივთიერების ან საგნის შემდგომი გამოყენება კანონიერია, რაც გულისხმობს, რომ ნივთიერება ან საგანი აკმაყოფილებს სპეციალური გამოყენებისათვის განსაზღვრულ ყველა შესაბამისი პროდუქტის, გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და არ მოახდენს უარყოფით გავლენას გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე.</p>		
13.	<p>„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტის მიღების მიზეზია, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში გარკვეული საკითხების დაზუსტება და დარეგულირება, კერძოდ:</p> <p>ზოგიერთი ტერმინის ცვლილება და ახლის დამატება;</p> <p>კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და პასუხისმგებლობის ზომებთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტება და დარეგულირება;</p> <p>ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებასთან დაკავშირებული საკითხის დარეგულირება;</p> <p>პრაქტიკაში გამოვლენილი რიგი ხარვეზების აღმოფხვრა და სხვა გარკვეული ნორმების კორექტირება.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>გამომდინარეობს</p>
14.	<p>„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის</p>	<p>კანონპროექტის მომზადების აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღების თაობაზე მთავრობის განკარგულებების შესრულების მდგომარეობის კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება. გარდა აღნიშნულისა, დარეგულირდება ასევე სამართალდარღვევის გამოვლენის დროს აღმოჩენილი მოპოვებული თევზის და წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმების ცოცხლად ამოღების შემთხვევაში მათი ბუნებრივ გარემოში დაბრუნების, სათანადო</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

	<p>შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>ლიცენზიის გარეშე წიაღით სარგებლობისას, სამართალდარღვევის ობიექტის (ან/და სატრანსპორტო საშუალების) ჩამორთმევის და სამართალდამრღვევისთვის, საქმის განხილვამდე იარაღის დროებით ჩამორთმევის საკითხი.</p> <p>აღსანიშნავია, რომ ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის სანებართვო პირობების დარღვევის, ნებართვის გარეშე ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის, ასევე აკრძალული ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტი, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტისთვის, კოდექსის მოქმედი რედაქციით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულების უფლებამოსილი პირი. ვინაიდან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა გამომდინარეობს იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის რეჟიმების დარღვევისას, აღნიშნული სცილდება სამინისტროს კომპეტენციას და მიზანშეწონილია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის მე-3 და მე-19 ნაწილები შესაბამისობაში იქნას მოყვანილი.</p> <p>ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 82³ მუხლის დარღვევა არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას და მიზანშეწონილია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისი თანამშრომელი უფლებამოსილი იყოს ადგილზე განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდოს სანქცია.</p> <p>კოდექსს დაემატება მუხლი, რომლის თანახმად, საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი თევზსაჭერი გემის მიერ არალეგალური, არადეკლარირებული და დაურეგულირებელი (IUU) თევზჭერის მარეგულირებელი კანონმდებლობის კონკრეტულ მოთხოვნათა დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება ექნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.</p>		
<p>15.</p>	<p>„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p>	<p>კანონპროექტის მომზადება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს წიაღით (რომელიც „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეს წარმოადგენს და არის სახელმწიფოს დაცვის ქვეშ) კანონიერი სარგებლობა. შესაბამისად, მიზანშეწონილია,</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

	<p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>რომ სათანადო ლიცენზიის გარეშე წიაღით სარგებლობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებოდეს არა მხოლოდ ფიზიკურ პირს, არამედ იურიდიულ პირსაც. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-300 მუხლის პირველი ნაწილი ვერ უზრუნველყოფს შემაკავებელ ეფექტს და საჭიროებს გამკაცრებას. შესაბამისად, მიზანშეწონილია ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით განხორციელებული თევზჭერა პირდაპირ დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლებრივ დანაშაულად.</p>	<p>გამოყოფას.</p>	
<p>16.</p>	<p>„ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტის მომზადების მიზანს წარმოადგენს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-3 მუხლით განსაზღვრულ ტერმინთა განმარტებებთან კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისობაში მოყვანა და რედაქციული დახვეწა. კერძოდ, კოდექსის 33-ე მუხლი განსაზღვრავს შლამისებრი ნარჩენი ნივთიერებებით-ფეკალური მასებით ან კანალიზაციის ნარჩენებით ტერიტორიის დაბინძურებისთვის ადმინისტრაციულ სანქციებს, მაშინ როდესაც კოდექსის მე-3 მუხლში, „შლამისებრი ნარჩენები“ არ არის განმარტებული. შესაბამისად, მიზანშეწონილია აღნიშნული ხარვეზის გასწორება. გარდა აღნიშნულისა, კოდექსის 34-ე მუხლის მოქმედი რედაქცია განსაზღვრავს ცხოველის სხეულის ნარჩენით გარემოს დაბინძურებისთვის შესაბამის სანქციებს, თუმცა არ არის განსაზღვრული ცხოველის სისხლით გარემოს დაბინძურებისთვისა და სამეწარმეო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ცხოველური ნარჩენების არადანიშნულების კონტეინერში (მათ შორის, მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების კონტეინერში) მოთავსების შემთხვევაში შესაბამისი სანქციები. შესაბამისად მიზანშეწონილია, კოდექსის 34-ე მუხლს დაემატოს შესაბამისი ნაწილები.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
<p>17.</p>	<p>„გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“</p> <p>(ახალი კანონპროექტი)</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტი ხელს შეუწყობს ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და მეორეს მხრივ, სწორი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის ჩამოყალიბებას, რაც ქვეყანაში ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისი გარემოსდაცვითი მმართველობის შექმნის ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს. კანონპროექტით, იქმნება მყარი სამართლებრივი საფუძველი არამხოლოდ მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიებისთვის, არამედ ყველა საწარმოსათვის, რომ გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შემთხვევაში, მათ განახორციელონ შესაბამისი სარემედიაციო ღონისძიებები და საქმიანობის განხორციელებამდე შექმნან მყარი ფინანსური გარანტიები, რომ თუკი ზიანი დადგება, მათ ჰქონდეთ სათანადო თანხები მობილიზებული ამ ზიანის მოკლე</p>	<p>კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. გამომდინარე იქედან, რომ აუცილებელია, აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების შექმნა იმისათვის, რომ</p>	<p>გამომდინარეობს</p>

		<p>ვადაში აღმოსაფხვრელად. ამავდროულად, კანონპროექტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, პირველ რიგში, გარემოზე ზიანის მიყენების პრევენციისა და შერბილების სამართლებრივი რეგულირება. კერძოდ, კანონპროექტით განისაზღვრება კონკრეტული ვალდებულებები საქმიანობის განმახორციელებელი პირისათვის, რომ მან უზრუნველყოს ზიანის პრევენცია/შერბილება, ამისათვის გაატაროს კონკრეტული ღონისძიებები, შეატყობინოს სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და გაატაროს ქმედითი ღონისძიებები იმისათვის, რომ ზიანი არ დადგეს და თავიდან იქნეს აცილებული. თუმცა, თუკი საქმიანობის შედეგად, გარემოზე ზიანის მიმყენებელი პირის უკანონო ქმედებით, გარემოს მინც მიადგება მნიშვნელოვანი ზიანი, პირი ვალდებული იქნება შეასრულოს დამდგარი ზიანის სარემედიაციო ღონისძიებები, რომელიც გაწერილი იქნება ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმაში, რომელიც იქნება სახელმძღვანელო დოკუმენტი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირისათვის. მსგავსი მიდგომა არსებობს თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში. ამავდროულად, ამავე კანონპროექტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ზიანის ფონდის შექმნა, რომლის მიზანი იქნება ზიანის პრევენცია, გარემოს მდგომარეობის აღდგენა ასევე ისტორიულად დაზიანებული გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება.</p>	<p>კანონპროექტით დადგენილმა რეგულაციებმა პრაქტიკაში განხორციელება ჰპოვოს, აუცილებელია სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს გაძლიერება ადამიანური რესურსებითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.</p>	
<p>18.</p>	<p>„ნარჩენების იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის შესახებ“ (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>ქვეყანაში ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის (იმპორტი, ექსპორტი და ტრანზიტი) მარეგულირებელი „ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ“ საქართველოს 1995 წლის კანონი მოძველებულია, საჭიროებს გადახედვას, მრავალი საკითხის დაზუსტებას და არსებულ რეალიებთან შესაბამისობაში მოყვანას. კანონპროექტის მიზანია, ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებთან დაკავშირებით ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფა, ბაზელის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანა და მასში კონვენციის მოთხოვნების სრულად ასახვა. ასევე, ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის პირობების, პროცედურების და კონტროლის მექანიზმების შემოღება ბაზელის კონვენციისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. კანონი ვრცელდება ყველა სახის ნარჩენზე, რომელიც კვეთს საქართველოს საზღვარს (იმპორტი, ექსპორტი ან ტრანზიტი). კერძოდ, ის ვრცელდება ბაზელის კონვენციით კონტროლირებად სახიფათო ნარჩენებზე და ასევე უზრუნველყოფს ისეთი ნარჩენების კონტროლის მექანიზმს, რომლებიც ბაზელის კონვენციით არ კონტროლდება. სხვა საერთაშორისო</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

		კონვენციების კონტროლს დაქვემდებარებული ნარჩენები ამოღებულია ამ კანონის რეგულირების სფეროდან.		
19.	<p>„იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	კანონპროექტის მიზანია 2019 წელს განხორციელებული, დაცული ტერიტორიის - პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლის სადემარკაციო სამუშაოების შედეგების (დაცული ტერიტორიის დაზუსტებული საზღვების) ასახვა კანონში. ჩატარებული სადემარკაციო სამუშაოების შედეგად პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლის საზღვრებიდან გამოტანილი იქნა დაცული ტერიტორიისთვის არატიპიური ინფრასტრუქტურა (სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და სხვა) და ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ტერიტორიები, ასევე სახეცვლილი ტერიტორიები, რომლებსაც არ გააჩნიათ კონსერვაციული ღირებულება ან არ შეესაბამებიან „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
20.	<p>„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	კანონპროექტის მიზანია შეიქმნას შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციები იმ არსებული პროდუქტისთვის, რომლის დამზადებისათვის ბაზად გამოყენებულია ღვინო და დეალკოპოლიზაციის გზით მიღებული ღვინო. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს საქართველოში ღვინისა და სხვა ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების კონკურენტუნარიანი ბაზრის გაფართოებასა და განვითარებას, მაღალხარისხიანი ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სხვა ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებასა და რეალიზაციას ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე, ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო ავტორიტეტის შენარჩუნებასა და ზრდას, საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის, როგორც ქვეყნის ისტორიულად, კულტურულად და ეკონომიკურად პრიორიტეტული დარგის განვითარებას.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
		„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ღვინისეული სასმელი და ამავე კანონში არსებული ღვინის კატეგორიებისთვის ახალი კატეგორიის დამატება, როგორცაა „დეალკოპოლიზებული ღვინო“, თავისი მახასიათებლებით, განსხვავდება კანონით განსაზღვრული კატეგორიებისაგან და ბაზარზე მათი არსებობა საჭიროს ხდის მათი წარმოებისა და რეალიზაციის წესების საკანონმდებლო რეგულირებას. ასევე, საქართველოში წარმოებული და საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ალკოჰოლიანი სასმელის სავალდებულო სერტიფიცირება, ყურძნისეული წარმოშობის სპირტიან სასმელთან ერთად ყურძნისეული წარმოშობის სპირტის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და		

	ნივთიერებების წარმოების სამართლებრივად დარეგულირება საჭიროებს რიგ საკანონმდებლო ცვლილებებს.		
--	---	--	--

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

<p>21.</p>	<p>„პროდუქტის უსაფთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>დაგეგმილია კოდექსის 99-ე მუხლში შევიდეს ცვლილებები, რომლის თანახმად განისაზღვრება, რომ აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების გასაჩივრება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სასამართლოში. აღნიშნული ცვლილების განხორციელების აუცილებლობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აკრედიტაციის ცენტრი არის ევროპული აკრედიტაციის სრულუფლებიანი წევრი, რაც გულისხმობს აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების ევროპული სტანდარტების შესაბამისად წარმართვას და აკრედიტაციის საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღებ პირთა სპეციალურ კომპეტენციას, რაც აღიარებულ უნდა იქნას EA -ს მხრიდანაც. გარდა ამისა, 99-ე მუხლის სხვა ნაწილებიც საჭიროებს ცვლილებებს, რათა აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობა შესაბამისობაში მოვიდეს აკრედიტაციის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაციების მიერ მიღებულ სტანდარტებთან და სახელმძღვანელო დოკუმენტებთან.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
<p>22.</p>	<p>„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>დაგეგმილია კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტში ცვლილების შეტანა, რომლის მიხედვით აკრედიტაციის ცენტრი მეწარმე სუბიექტებში საშემფასებლო საქმიანობის განხორციელებისას განთავისუფლდება სასამართლოსადმი შუამდგომლობით მიმართვის ვალდებულებისგან, როგორც გეგმური, ასევე არაგეგმური შეფასების ჩატერების დროს. მიუხედავად იმისა, რომ დღეის მდგომარეობით მეწარმე სუბიექტის წერილობითი თანხმობითა და აკრედიტაციის ცენტრთან დადებული ორმხრივი ხელშეკრულებებით ეს საკითხი მოწესრიგებულია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოქმედი კანონმდებლობით მოხდეს საკითხის დარეგულირება.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
<p>23.</p>	<p>„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის</p>	<p>კანონპროექტის მომზადების აუცილებლობა განპირობებულია სტარტაპების ალტერნატიული დაფინანსების ახალი წყაროების საჭიროებით. კანონპროექტი ითვალისწინებს სახალხო დაფინანსების მექანიზმს, რომელიც სტარტაპ კომპანიებს საშუალებას მისცემს წილობრივი და სასესხო ფასიანი ქაღალდების შეთავაზების</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

	<p>თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	გზით მიიღოს დაფინანსება სახალხო დაფინანსების პლატფორმის მეშვეობით.	გამოყოფას.	
24.	<p>„ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>პროექტის მომზადება განპირობებულია ციფრული ტექნოლოგიების სფეროში საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის საჭიროებით. კანონპროექტი ითვალისწინებს ტექნოლოგიური პარკის ზონის შექმნას, რომელიც წარმოადგენს სპეციალური საგადასახადო რეჟიმის ზონას ციფრული ტექნოლოგიების სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი პირებისათვის და მათ საშუალებას აძლევს მოიპოვონ ტექნოლოგიური პარკის რეზიდენტის სტატუსი.</p> <p>საგადასახადო კოდექსის ცვლილების პროექტი ითვალისწინებს ტექნოლოგიური პარკის რეზიდენტებისათვის საგადასახადო შეღავათებს. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მიზანია, საქართველოში შექმნას ციფრული ტექნოლოგიების სფეროში საქმიანობისათვის სპეციალური გარემო.</p>	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
25.	<p>„საქართველოს საზღვაო კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	კანონპროექტი ითვალისწინებს გემების რეგისტრაციისა და დროშის სახელმწიფო კონტროლის მარეგულირებელი წესებისა და დაზღვევის არსებობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემის, შემოწმებისა და აღიარების წესების დადგენას.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
26.	<p>„მეზღვაურთა დასაქმების შესახებ“</p>	კანონპროექტის მიღება განპირობებულია, საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავ კომერციულ საქმიანობაში ჩართულ გემებზე მეზღვაურების დასაქმებისა	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო	გამომდინარეობს

	<p>(ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>და საქმიანობის წესების, ასევე, მეზღვაურთა დასაქმების სფეროში მოქმედი სამსახურების/გემთმფლობელის მიერ ნებისმიერი დროით მცურავ გემზე საქართველოს მოქალაქე მეზღვაურთა დასაქმების უნიფიცირებულ სტანდარტებისა და წესების განსაზღვრა და საზღვაო შრომის 2006 წლის კონვენციის დებულებების ასახვა.</p> <p>კანონპროექტით, რეგულირდება მეზღვაურთა შრომით და სოციალურ პირობებთან დაკავშირებული საკითხები.</p> <p>კანონი ასევე დაარეგულირებს მეზღვაურისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, როგორცაა მეზღვაურის მინიმალური ასაკი, სამედიცინო მოწმობა, წვრთნა და კვალიფიკაცია. კანონი ასევე, აწესრებს მეზღვაურთა დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებს და აწესებს მოთხოვნებსა და ვალდებულებებს მეზღვაურთა დასაქმების სფეროში მოქმედი სამსახურებისთვის (საკრუინგო კომპანიების), რითაც გემთმფლობელს უქმნის ვალდებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენოს საქართველოში მოქმედი საკრუინგო კომპანიის მომსახურება, როდესაც საკრუინგო კომპანია მას წარუდგენს ამ კანონის შესაბამისად სააგენტოს მიერ გაცემულ აღიარების სერტიფიკატს.</p> <p>კანონი არეგულირებს მეზღვაურთა დასაქმების პირობებთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორცაა შრომითი ხელშეკრულება, რომლის მიზანი საქართველოს სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულ გემზე დასაქმებულ ნებისმიერ მეზღვაურს გააჩნდეს ხელმოწერილი იურიდიულად სავალდებულო შრომითი ხელშეკრულება, ხოლო ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში, უნდა არსებობდეს სახელშეკრულებო ან სხვა მსგავსი მოლაპარაკებების მტკიცებულება, რომელიც მიმართულია გემზე მეზღვაურისთვის ღირსეული საცხოვრებელი და სამუშაო პირობების შექმნის უზრუნველყოფისკენ.</p>	<p>ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	
<p>27.</p>	<p>„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან</p>	<p>კანონპროექტის მიზანია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განისაზღვროს, საქართველოს მთავრობის დადგენილების „საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემებისა და საქართველოს ნავსადგურების უშიშროების წესის“ დამტკიცების შესახებ“ და „გემების უსაფრთხო მართვისა და დაბინძურების თავიდან აცილების წესების“ დამტკიცების შესახებ სააგენტოს დირექტორის ბრძანებით გათვალისწინებული წესების დარღვევისთვის ჯარიმების ოდენობა. პროექტი ითვალისწინებს გემთმფლობელების და ნავსადგურების ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას გემისა და ნავსადგურის უშიშროების და გემების უსაფრთხო მართვისა და დაბინძურების თავიდან აცილების წესების დარღვევებზე.</p> <p>ასევე, პროექტი ითვალისწინებს ჯარიმებს, საქართველოს ნავსადგურების</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>გამომდინარეობს</p>

	ერთად)	კომპლექსური შემოწმების შედეგად ნავსადგურების მიერ შეუსაბამოების დადგენილ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში.		
28.	<p>„მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>„მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი განსაზღვრავს, სერტიფიკატის განახლების საკითხს. ვინაიდან, კანონის ზემოაღნიშნული მუხლით სერტიფიკატის განახლების პუნქტები, დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე ადგენს შინაარსობრივად განსახვავებულ პირობებს, საჭირო გახდა სერტიფიკატის განახლების პირობების გადახედვა.</p>	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
29.	<p>„საქართველოს სარკინიგზო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევთა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ</p>	<p>მომზადებული ცვლილებების მიზანია განისაზღვროს მემანქანეთა სერტიფიცირების საერთო წესები და პირობები, რომლებიც საქართველოს მასშტაბით რკინიგზის სისტემაში მართავენ ლოკომოტივ(ებ)სა და მატარებლებს.</p>	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	გამომდინარეობს

	საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)			
30.	<p>„საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტის ინიცირება დაკავშირებულია საქართველოში ახალი ტიპის მულტიმოდალური გადაზიდვების - საკონტრეილერო გადაზიდვების დანერგვასთან და მის წახალისებასთან. აღნიშნული გადაზიდვა გულისხმობს სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მისაბმელების (სახსნელი საავტომობილო ძარების) ტრანსპორტირებას სპეციალიზირებული სარკინიგზო პლატფორმების გამოყენებით. აღნიშნული გამორიცხავს ან მინიმალურს ხდის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საავტომობილო ინფრასტრუქტურის გამოყენებას და, შესაბამისად, საკონტრეილერო გადაზიდვაში ჩართული სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალება მიუხედავად იმისა, რომ ახორციელებს სატრანზიტო გადაზიდვას, უნდა გათავისუფლდეს გზატარებლობის საფასურის გადახდისგან, რადგან სარკინიგზო გადაზიდვას საავტომობილოსთან შედარებით გააჩნია რიგი უპირატესობები, რაც დაკავშირებულია საავტომობილო ინფრასტრუქტურის ცვეთის, საგზაო შემთხვევების და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებასთან.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
31.	<p>„წიადის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა სასარგებლო წიადისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მომენტში სალიცენზიო ფართობი არ ხვდება კერძო საკუთრებაში, თუმცა შემდგომ ხდება მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია. ამ შემთხვევაში მესაკუთრის მიერ ძირითადად ხდება უარყოფითი პოზიციის გამოხატვა სალიცენზიო საქმიანობის განხორციელების მიმართ, რითაც საბოლოოდ ხელი ეშლება სალიცენზიო საქმიანობის განმახორციელებელ პირს და ფერხდება მისთვის სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლების რეალიზების პროცესი. ხსენებულ შემთხვევაში ლიცენზიანტებს აღარ ეძლევათ შესაძლებლობა, თავისუფლად აწარმოონ მოპოვებითი სამუშაოები, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება რესურსის რაციონალურ გამოყენებაზე.</p> <p>კანონპროექტის თანახმად, „წიადის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ლიცენზიის გაცემის შემდგომ, ლიცენზიით გათვალისწინებული ფართობის კერძო საკუთრებაში დარეგისტრირების შემთხვევაში, თუ საკუთრების უფლების რეგისტრაციის უფლება პირს წარმოეშვა ლიცენზიის გაცემამდე, მესაკუთრე ვალდებული იქნება ხელი არ შეუშალოს ლიცენზიის ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობას, შესაბამისი საზღაურის გადახდის სანაცვლოდ, ან მის გარეშე. ცვლილებით მოხდება მესაკუთრისა და ლიცენზიის მფლობელის უფლებების დაბალანსება შესაბამისი საკანონმდებლო მოწესრიგების გზით.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

<p>32.</p>	<p>„საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>საკანონმდებლო პაკეტის მიზანია საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის (საერთაშორისო/ქვეყნის შიდა) სფეროში და სამგზავრო ავტოსადგურებში არსებული მდგომარეობის მოწესრიგებისათვის ოპტიმალური და მოქნილი საკანონმდებლო ბაზის შექმნა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>გამომდინარეობს</p>
<p>33.</p>	<p>„საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტი არსებითად და ძირეულად ცვლის მოქმედი კანონის VI თავს (აეროდრომები და აეროპორტები) და ითვალისწინებს აეროდრომის მოწყობასთან (მათ შორის აეროდრომისთვის ვარგისი ტერიტორიის გამოყოფა), აეროდრომის დაცვის არეს დადგენასთან და ამ არეში შენობა-ნაგებობათა განთავსებასთან, დაბრკოლებების შემქმნელი ობიექტების ნიშანდებასთან, აეროდრომების/ვერტორდრომების სერტიფიცირებასთან და აღიცხვასთან დაკავშირებულ საკითხებს.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

34.	<p>„საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>საჰაერო კოდექსის მოქმედი რედაქცია, (V თავი) რომელიც შეეხება საავიაციო პერსონალს არასრულყოფილია და არ შეესაბამება საავიაციო პერსონალის მომზადების, სერტიფიცირებისა და ზედამხედველობის თანამედროვე მოთხოვნებს. ამასთან, კოდექსი არ ახდენს საავიაციო სფეროში დასაქმებული ავიასპეციალისტების მკაფიო გამიჯვნას, რაც აუცილებელია მათთვის დიფერენცირებული მოთხოვნების დადგენის თვალსაზრისით.</p> <p>საჰაერო კოდექსის V თავი ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით, კერძოდ, განისაზღვრება საავიაციო პერსონალის ცნება, კლასიფიკაცია, ძირითადი მოთხოვნები საავიაციო პერსონალის მომზადების, სერტიფიცირების, მოწმობის გაცემისა და პესონალის საქმიანობაზე ზედამხედველობის მიმართულებით.</p>	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
35.	<p>„საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>საჰაერო ხომალდების ვარგისობის დადგენას და ვარგისობის შენარჩუნებაზე ზედამხედველობას ახორციელებს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო. ევროკავშირის 1321/2014 რეგულაციის პირველი ნაწილით (Part M Subpart G CAMO) დადგენილია მოთხოვნა, რომ საჰაერო ხომალდების ვარგისობის შეფასება და ვარგისობის შენარჩუნების უზრუნველყოფა უნდა განახორციელოს საწარმომ, რომლის სერტიფიცირებასაც მოახდენს საავიაციო ხელისუფლება. საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების პროექტით განისაზღვრება საჰაერო ხომალდების საფრენად ვარგისობის შენარჩუნების საწარმოს ცნება, საწარმოს ფუნქციები და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უფლებამოსილებები საწარმოს სერტიფიცირებისა და ზედამხედველობათან დაკავშირებით. ამასთან, იგეგმება საერთო დანიშნულების ავიაციის და სპეციალიზირებული საავიაციო სამუშაოების მერგულირებელი ნორმების შემუშავება.</p>	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	გამომდინარეობს
36.	<p>„საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტის მიღების შედეგად საქართველოში რეგისტრირებული ავიაგადამზიველი ვალდებული იქნება მოიპოვოს კომერციული საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობა არა მხოლოდ მგზავრების, ბარგის, ტვირთის ან/და ფოსტის საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისთვის, არამედ აგრეთვე საჰაერო ხომალდის ეკიპაჟიანი იჯარით გადაცემისთვისაც.</p> <p>ამასთან, მიზანშეწონილია 58¹ მუხლის მე-2 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს ჩანაწერი „ან/და საქართველოში დაფუძნებული იურიდიული პირები“ და შესაბამისად, გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მიღების უფლება დარჩეს საქართველოში რეგისტრირებულ მხოლოდ იმ იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო და რომელშიც საქართველოს მოქალაქეები ფლობენ/ფლობს ან მართავენ/მართავს/ ხმის უფლების მქონე წილის ან აქციების 50%-ზე მეტს.</p>	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	გამომდინარეობს
37.	<p>„ფოსტის შესახებ“</p>	პროექტის მიზანია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს	დანიშნული საფოსტო	გამომდინარეობს

	<p>(ახალი კანონპროექტი)</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონის 64-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული დავალების შესრულება, რომლის თანახმად საქართველოს მთავრობამ საქართველოს პარლამენტს განსახილველად უნდა წარუდგინოს „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი; გაეროს სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციის - მსოფლიო საფოსტო კავშირის (UPU) წევრობით და ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) საქართველოს ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ფოსტის სფეროში ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან (1997 წლის 15 დეკემბრის N97/67/EC დირექტივა ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შიდა ბაზრის განვითარების და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საერთო წესების შესახებ“; „2002 წლის 10 ივნისის N2002/39/EC დირექტივა, რომლითაც ცვლილებები შევიდა N97/67/EC დირექტივაში, რომელიც ეხება ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შემდგომ გახსნას კონკურენციისთვის“ და „2008 წლის 20 თებერვლის ევროპის პარლამენტის და საბჭოს N2008/6/EC დირექტივა, რომლითაც ცვლილებები შევიდა N97/67/EC დირექტივაში, რომელიც ეხება ევროკავშირის საფოსტო მომსახურების შიდა ბაზრის სრულ ხელმისაწვდომობას“) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა.</p> <p>კანონის პროექტი ადგენს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფოსტის სფეროში საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს და ძირითად პრინციპებს; ფოსტის სფეროში საქმიანობისას პირთა თანასწორუფლებიანობას; მომხმარებელთა უფლებების დაცვას; უნივერსალური საფოსტო მომსახურების ეფექტური და მდგრადი მიწოდების უზრუნველყოფას, მისი საყოველთაოობის, საიმედოობის, თანაბარი წვდომის, არადისკრიმინაციულობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას; საფოსტო მომსახურების გაწევისას და საფოსტო ქსელის ორგანიზებისას საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფას; ქვეყნის ტერიტორიაზე საფოსტო გზავნილების ტრანზიტულად გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფას მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტების შესაბამისად; საფოსტო ქსელის მეშვეობით გაცვლილი მონაცემების და გზავნილის უსაფრთხოების და კონფიდენციალობის დაცვას; საფოსტო საშუალებებისა და მომსახურების მართვას საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს; საფოსტო საგადახდო ნიშნების გამოცემის რეგულირებას; მეწარმეობის, კონკურენციის განვითარების, ინვესტიციების მოზიდვის და ბაზრის ლიბერალიზაციის ხელშეწყობას და სხვა.</p>	<p>ოპერატორისთვის მის მიერ უნივერსალური საფოსტო მომსახურების განხორციელებისას წარმოშობილი ხარჯები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და კომისიის მიერ განსაზღვრული საფოსტო ოპერატორების მიერ რის თაობაზეც გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.</p>	
38.	<p>„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“</p>	<p>კანონპროექტი განსაზღვრავს ევროპული რეგულაციების შესაბამისად ახალი მარეგულირებელი ზომების უზრუნველყოფისათვის საჯარო საკონსულტაციო</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო</p>	<p>გამომდინარეობს</p>

	<p>საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>პროცედურების დანერგვის საკითხებს; ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში ex ante (წინასწარ) რეგულაციას დაქვემდებარებული შესაბამისი პროდუქტისა და მომსახურების ბაზრების განსაზღვრის და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის გამოვლენის მიზნით ბაზრების ანალიზის და სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების საკითხებს; ავტორიზაციისა და ლიცენზირების, აგრეთვე ზოგადი ნებართვის, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ინდივიდუალური უფლებისა და სარგებლობის უფლებების რაოდენობის შეზღუდვის საკითხებს, ელექტრონული კომუნიკაციების ქსელებში პირადი ცხოვრების კონფიდენციალობის და პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხებს, უნივერსალური მომსახურების ვალდებულებების შესახებ რეგულაციის დანერგვის, ხარჯთაღრიცხვის და დაფინანსების მექანიზმების განსაზღვრის ჩათვლით და მომხმარებელთა ინტერესებისა და უფლებების დაცვის უზრუნველყოფის საკითხებს, რადიოსიხშირული სპექტრის ჰარმონიზებული ხელმისაწვდომობისა და ეფექტიან გამოყენების საკითხებს და სხვა.</p>	<p>ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	
<p>39.</p>	<p>„ელექტრონული კომერციის შესახებ“</p> <p>(ახალი კანონპროექტი)</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონის პროექტის შემუშავება განპირობებულია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) შუალედური მომსახურების მიმწოდებლების (ISP) უფლებებისა და ვალდებულებების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრის შესახებ, აგრეთვე მათთვის ზოგადი მონიტორინგის ვალდებულების დაწესების აკრძალვის შესახებ აღებული ვალდებულებით;</p> <p>კანონპროექტის თანახმად, დარეგულირდება, საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებასთან დაკავშირებული საქმიანობა, ამ მომსახურების გამწევი და მიმღები პირების პასუხისმგებლობა, განისაზღვრება საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებების მიმწოდებლის, მიმღებისა და მომხმარებლის საქმიანობის პრინციპები, მათი უფლებები, მათ შორის, შუალედური მომსახურების მიმწოდებლებისათვის ზოგადი მონიტორინგის ვალდებულების დაწესების აკრძალვა, აგრეთვე ის პირობები, რომელთა შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში შუალედური მომსახურების მიმწოდებლებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა არაკანონიერი ინფორმაციის გატარებისთვის ან/და შენახვისთვის.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>გამომდინარეობს</p>
<p>40.</p>	<p>„სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიწნებისთვის გამოყენებადი</p>	<p>კანონის პროექტის მიღება განპირობებულია „საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმით“ აგრეთვე, მსფოლიო ბანკის DPO ვალდებულებით.</p> <p>კანონპროექტის ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე მაღალსიჩქარიანი,</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

	<p>ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“</p> <p>(ახალი კანონპროექტი)</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობას სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაზე და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებად ინფრასტრუქტურაზე დაშვების გზით.</p> <p>კანონპროექტის მოქმედება გავრცელდება ფიზიკური ინფრასტრუქტურის ოპერატორებზე, როგორებიც არიან ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი, აგრეთვე ის პირები, რომლებიც ფლობენ ფიზიკურ ინფრასტრუქტურას და ახორციელებენ ან განზრახული აქვთ რომ განახორციელონ წარმოების, ტრანსპორტირების/განაწილების და სადისტრიბუციო შემდეგი მომსახურებები: გაზი, ელექტროენერჯია (გარე განათების ჩათვლით), წყლის, მათ შორის, ჩამდინარე და საკანალიზაციო წყლების განკარგვა ან გადამუშავება, სადრენაჟე სისტემები, სატრანსპორტო მომსახურებება, მათ შორის სარკინიგზო, საგზაო, სანავსადგურე და აეროპორტის მომსახურება, ასევე საზოგადოებრივი დანიშნულების სამუშაოებზე, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ახლად მშენებარე ან სარეკონსტრუქციო მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე.</p> <p>ახალი კანონის ამოქმედების შედეგად სატელეკომუნიკაციო ოპერატორებს მიეცემათ საშუალება ნაკლები ფინანსური დანახარჯებით გააფართოვონ საკუთარი ქსელები, გამარტივებულად მიიღონ ინფორმაცია საკომუნიკაციო მიზნებისათვის გამოსადეგი ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესახებ, უზრუნველყოფილი იქნება ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე სატელეკომუნიკაციო ოპერატორების არადისკრიმინაციული დაშვება, რაც ასევე საშუალებას მისცემს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორებს განავითარონ და გააფართოვონ თავიანთი ქსელი, საბოლოო ჯამში კი ამ კანონის მიღება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ციფრული ეკონომიკის სწრაფ განვითარებას.</p>		
<p>41.</p>	<p>„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან</p>	<p>კანონპროექტის ძირითად ქვაკუთხედს წარმოადგენს ელექტროენერჯის ტრანზიტის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი ელექტრული ქსელის მოქცევა რეგულირებადი ინფრასტრუქტურის ფარგლებში. მოცემული ხელს შეუწყობს, ტრანზიტისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების სტაბილურ ანაზღაურებას, ხოლო მეორეს მხრივ აღნიშნული არ იქონიებს რაიმე უარყოფით ზეგავლენას ტრანზიტით დაინტერესებული პირებისთვის, რამდენადაც მათთვის არ შეიცვლება არც ტრანზიტის უზრუნველყოფის საფასურის დადგენის პრინციპები და წესი, ასევე არც მისი განხორციელების პროცედურა და ფორმა.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

<p>ერთად)</p> <p>42.</p>	<p>„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>საკანონმდებლო პაკეტის მომზადება განპირობებულია მიწისქვეშა გაზსაცავის მიმდინარე პროექტის საჭიროებიდან გამომდინარე. დღეის მდგომარეობით, კანონმდებლობით დარეგულირებულია მხოლოდ სალიცენზიო ბლოკის ფართობის ფარგლებში მოპოვებული ნავთობისა და გაზის შესანახი ინფრასტრუქტურის შესაბამის ბუნებრივ რეზერვუარში მოწყობის საკითხი. შესაბამისად, ინიციატივა მიზნად ისახავს სალიცენზიო ბლოკის ფართობს გარეთ მოპოვებული გაზის შესანახად განკუთვნილი მიწისქვეშა გაზსაცავის (რა დანიშნულებაც ექნება ზემოხსენებულ გაზსაცავის პროექტს) მშენებლობისა და ოპერირებისათვის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნას.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
<p>43.</p>	<p>„საინვესტიციო ფონდების შესახებ“</p> <p>(ახალი კანონპროექტი)</p> <p>(აუცილებლობის</p>	<p>საინვესტიციო ფონდების განვითარება წარმოადგენს კაპიტალის ბაზრის რეფორმის მნიშვნელოვან კომპონენტს. ამჟამად არსებული კანონი საინვესტიციო ფონდების შესახებ არ არის სრულყოფილი და არ ითვალისწინებს საინვესტიციო ფონდების შექმნის, ოპერირებისა და რეგულირების არსებით და საერთაშორისო ინვესტორებისთვის ნაცნობ ასპექტებს. ახალი კანონით მოხდება არსებული კანონის გაუქმება. კანონის პროექტი ადგენს რეგულირებადი და ალტერნატიული ფონდების</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>გამომდინარეობს</p>

	<p>შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>სახეებს, ადმინისტრირების წესსა და მისი სახელმწიფო რეგულირების სისტემის საფუძვლებს. საინვესტიციო ფონდების კანონი ემიტენტებსა და ინვესტორებს მისცემს საშუალებას მიიღონ თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საფინანსო მომსახურების სრული სპექტრი. საინვესტიციო ფონდების განვითარება მნიშვნელოვანია ქვეყანაში დაზოგვის კოლექტიური და ეფექტიანი მექანიზმების განვითარების თვალსაზრისით, რაც ხელს შეუწყობს საფინანსო სისტემის დივერსიფიკაციასა და გრძელვადიან საინვესტიციო რესურსზე ხელმისაწვდომობის ზრდას.</p> <p>კანონი მოახდენს არასაბანკო ფინანსური სექტორის სტიმულირებას, უზრუნველყოფს ინვესტორთა სათანადო დაცვასა და ამ ინვესტორების საინვესტიციო ფონდებში განთავსებული აქტივების მართვის სამართლებრივი ჩარჩოს გამართვას. ასევე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის UCITS-ის დირექტივასთან აპროქსიმაციით ეს კანონი საქართველოს საინვესტიციო სამართლებრივ გარემოს უფრო გასაგებსა და ნაცნობს გახდის უცხოელი ინვესტორებისათვის.</p>		
<p>44.</p>	<p>„ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ (ახალი კანონპროექტი)</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>„ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ კანონი აყალიბებს დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდის ფლობის რეჟიმს. ამგვარი ფასიანი ქაღალდები არსებობს მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე ჩანაწერის სახით. კანონი ადგენს ასევე ურთიერთობას ასეთ ფლობასა და ანგარიშის მწარმოებელს შორის. კანონის პროექტი აწესრიგებს ფასიანი ქაღალდების პირველადი დეპონირების საკითხებს ცენტრალურ დეპოზიტართან. კანონპროექტი ასევე ანსხვავებს რეგისტრირებულსა და დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდს და დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდს უწესებს უფრო მაღალ სამართლებრივ სტანდარტებს შენახვისათვის. კანონის პროექტი ასევე აჩენს ანგარიშის მწარმოებლის ცნებას, რომელიც ქმნის შესაბამის იერარქიას ფასიანი ქაღალდის ფლობასთან დაკავშირებულ უფლებებზე. ეს კი თავის მხრივ ხელის შეწყობი იქნება ფასიანი ქაღალდებით განხორციელებული ტრანზაქციების კლირინგისა და ანგარიშსწორებისათვის.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

<p>45.</p>	<p>„თავდაცვის კოდექსი“ (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>პროექტი მიზნად ისახავს თავდაცვის ძალების მართვის ორგანიზაციული საკითხების ხარისხის გაუმჯობესებას.</p> <p>თავდაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა (თავდაცვის სფეროს ორგანიზება, სამხედრო მოსამსახურის მიერ სამსახურის გავლა, სოციალური დაცვისა და სხვა თანმდევი საკითხები) დღეისათვის რეგულირდება სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. შესაბამისად, არ არსებობს თავდაცვის სფეროს მარეგულირებელი ერთიანი, სისტემატიზირებული სამართლებრივი აქტი.</p> <p>ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების უმრავლესობის მიღება/გამოცემა მოხდა 1997 წლიდან და შესაბამისად, ისინი ვეღარ პასუხობენ დღევანდელ რეალობასა და მოთხოვნებს. თავდაცვის სფეროში მოქმედებს ისეთი კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე მიზანშეწონილია რეგულირდებოდეს კანონის დონის მქონე სამართლებრივი აქტით.</p> <p>ამდენად, თავდაცვის კოდექსი მოაწესრიგებს იმ საკითხებს, რომელიც ამჟამად დარეგულირებულია სხვადასხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით.</p> <p>კოდექსის პროექტში მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს სამხედრო სამსახურის გავლასთან, სამხედრო მოსამსახურის სტატუსთან და მისი სოციალური დაცვის გარანტიებთან დაკავშირებული საკითხები.</p> <p>ამასთან, პროექტით წესრიგდება:</p> <ul style="list-style-type: none"> - სამხედრო განათლებასთან დაკავშირებული საკითხები; - საერთაშორისო მისიაში/ოპერაციაში მონაწილეობის ორგანიზაციული საკითხები; - საერთაშორისო სწავლებების საკანონმდებლო ორგანიზაციული საკითხები; - საზღვარგარეთ საერთაშორისო ორგანიზაციაში სამსახურებრივი მივლინებით წარგზავნის ორგანიზაციული საკითხები; - სავალდებულო სამხედრო სამსახურის რეფორმა; - სამხედრო მოსამსახურეთა წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები. <p>პროექტით აღმოიფხვრა ნორმათა დუბლირება.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
<p>46.</p>	<p>„თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო“</p>	<p>საქართველოს წინაშე არსებული სამხედრო ხასიათის საფრთხეებზე კომპლექსური რეაგირების მიზნით, მიღებულ იქნა „სამხედრო ძალების რეზერვისა და სამხედრო“</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

<p>სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლითაც უზრუნველყოფილია სარეზერვო სამსახურის განახლებული სისტემა. აღნიშნული სისტემა მოიცავს სამობილიზაციო რეზერვისტების აღრიცხვის, გაწვევის, გამოძახების, მომზადების, ტრანსპორტირებისა და მართვის პროცესებს, რაც გაზრდის სამობილიზაციო რეზერვის ოპტიმალური გადანაწილება-გამოყენების, ასევე ქვედანაყოფების გაძლიერების და დანაკარგების უწყვეტი შევსების შესაძლებლობებს.</p> <p>რეზერვის და მობილიზაციის ახალი სისტემის ჩამოყალიბებისას, გამოიკვეთა საჭიროება კანონის ფარგლებში მოქცეულიყო იმ კრიტერიუმების განსაზღვრა, რომლითაც განხორციელდება სამობილიზაციო რეზერვისტების აღრიცხვა, სისტემატიზაცია და კატეგორიზაცია.</p> <p>შესაბამისად, კანონპროექტის თანახმად, სამობილიზაციო რეზერვის მართვის სისტემის გამართულად ფუნქციონირებისათვის შექმნილი ელექტრონული მართვის სისტემის ფარგლებში, განისაზღვრა იმ კრიტერიუმებისა და პერსონალური მონაცემების ჩამონათვალი, რომელიც მნიშვნელოვანია სამობილიზაციო რეზერვის მართვის სისტემის გამართულად ფუნქციონირებისათვის. აგრეთვე, განისაზღვრა აღნიშნული მონაცემების დამუშავების მიზანი და მონაცემთა დამმუშავებელი პირები მათი უფლებამოსილებისა და კომპეტენციის გათვალისწინებით.</p> <p>პროექტის მიხედვით, იცვლება ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით სამობილიზაციო რეზერვის აღრიცხვის ვადა.</p>	<p>ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	
--	---	---	--

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

<p>47.</p>	<p>„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“</p> <p>(ახალი კანონპროექტი)</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტის მომზადების საჭიროება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებულმა ხარვეზებმა განაპირობა. კანონის მოქმედი რედაქციით ერთმანეთისაგან არ არის გამოიჯნული რეაბილიტაციის მმართველისა და საწარმოს დირექტორის უფლებამოსილებათა ფარგლები, გაკოტრების მმართველს არ ეკისრება სამეურვეო ქონების მოძიების ვალდებულება, არ არსებობს გაკოტრების პროცესის რეაბილიტაციის პროცესში გარდაქმნის შესაძლებლობა, გაკოტრების შემდეგ დარჩენილი ქონება, პარტნიორების ნაცვლად, სახელმწიფოს ან სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთრებაში მიექცევა, რიგ შემთხვევებში უგულებელყოფილია არაუზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებები. გარდა ამისა, კანონში არსებობს მთელი რიგი სხვა ხარვეზებიც, რომლებიც პრაქტიკაში გადახდისუუნარობის პროცესს მოუქნელს და არაქმედით ხდის, რაც საჭიროებს აღმოფხვრას და გადახდისუუნარობის ეფექტიანი, მხარეთა ინტერესებზე მორგებული სისტემის ჩამოყალიბებას.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
<p>48.</p>	<p>„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ“</p> <p>(ახალი კანონპროექტი)</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ციფრული მმართველობის სააგენტო მომიჯნავე ფუნქციების მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირების - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და „სმართ ლოჯიკის“ გაერთიანების გზით. სააგენტოს კომპეტენციაში სრულად მოექცევა აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებები. საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების აქტუალობა განპირობებულია უკანასკნელ პერიოდში საქართველოში ციფრული მმართველობის სწრაფი განვითარებისა და მოქალაქეებისა და ბიზნეს სექტორისათვის მომსახურების ელექტრონულად, „ერთი ფანჯრის პრინციპით“, კიდევ უფრო მარტივად და მაღალი ხარისხით მიწოდების მიზნიდან გამომდინარე და, მოცემული მიზნის მისაღწევად საბიუჯეტო სახსრების ოპტიმიზაციის, ორი ორგანიზაციის ფინანსური და საკადრო რესურსების, ასევე ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების გაერთიანების აუცილებლობით. გარდა იმისა, რომ მომიჯნავე ფუნქციების გაერთიანება და ერთი ორგანიზაციის ფორმით ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს ციფრული მმართველობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანად წარმართვას, ამავე დროს, მოემსახურება ერთიანი მონაცემთა ცენტრების შექმნისა და რესურსების</p>	<p>საჯარო სამართლის იურიდიული პირების - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და „სმართ ლოჯიკის“ შერწყმის შედეგად, ორივე საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბიუჯეტი გაერთიანდება ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ციფრული მმართველობის სააგენტოს ბიუჯეტად, რაც არ გამოიწვევს 2020 წლის სახელმწიფო</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

		<p>მნიშვნელოვნად დაზოგვის მიზნებს. ამასთან, ბოლო პერიოდში კიდევ უფრო გააქტიურდა იუსტიციის სამინისტროს საქმიანობა სერვისების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, რა მიზნითაც საქართველოს მასშტაბით გრძელდება იუსტიციის სახლებისა და საზოგადოებრივი ცენტრების ფორმირება. გარდა ამისა, აქტიური მუშაობა მიმდინარეობს სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე (My.gov.ge) დამატებითი ელექტრონული სერვისების განსათავსებლად, პარალელურად, დღის წესრიგში კვლავაც დგას მოქალაქეებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისათვის ელექტრონული მომსახურების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მიწოდების გაუმჯობესების საკითხი. განსაკუთრებით აქტუალურია ორი საჯარო სამართლის იურიდიული პირის გაერთიანების შედეგად შექმნილი სააგენტოს საქმიანობა ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროშიც.</p>	<p>ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდას.</p>	
49.	<p>„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“</p> <p>(ახალი კანონპროექტი)</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>2013 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს 2006 წლის კონვენციის რატიფიცირება, რაც საჭიროებს მასთან საკანონმდებლო ბაზის შესაბამისობაში მოყვანას. არსებული კანონმდებლობა დიდწილად არ შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს, ამიტომ საჭიროა შეიქმნას სრულიად ახალი კანონი, რომელიც მოაწესრიგებს საქართველოში შშმ პირთა სამართლებრივ მდგომარეობას და შექმნის მყარ გარანტიებს მათი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ახალმა კანონმა უნდა მოიცვას არაერთი სფერო - ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური დაცვა, განათლება, შრომითი უფლებები, ინფრასტრუქტურის ადაპტაცია და შშმ პირთათვის ხელმისაწვდომობა და სხვ.</p>	<p>კანონპროექტების მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
50.	<p>„აღსრულების კოდექსი“</p> <p>(ახალი კანონპროექტი)</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>აღსრულების ახალი კოდექსის პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისა და ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით, რის შედეგადაც სააღსრულებო წარმოება მოერგება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს. ახალი პროექტის მიზანია საკანონმდებლო დონეზე იმ ნაკლოვანებების და ხარვეზების აღმოფხვრა, რაც გააჩნია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს მოქმედ კანონს. კერძოდ, კანონის სტრუქტურისა და შინაარსის კოდიფიკაცია, მთელი რიგი ნოვაციების გათვალისწინება, რომლებიც, ძირითადად, მიზნად ისახავს კანონის დაახლოებას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებთან და აღსრულების პროცესში მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის განმტკიცებს.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

51.	<p>„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>ვინაიდან საქართველოს სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, მოახდინოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირთან, ამავდროულად, საქართველოს ნოტარიატი წარმოადგენს ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირის წევრს, მიზანშეწონილია, საქართველოში ნოტარიატის მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის ქვეყნის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ შეიმუშავა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ცალკეული ხარვეზების აღმოფხვრას, ისეთი საკითხების დეტალურად რეგულირებას, როგორცაა ნოტარიუსის თანამდებობის დაკავების პირობები, გამგეობის წევრებისა და ხელმძღვანელი პირის არჩევის წესი, ნოტარიუსის შემცვლელი პირების დანიშვნის ვადები, სანოტარო საქმიანობაზე პრევენციული კონტროლის მექანიზმის შემოღება, ნოტარიუსის, როგორც გადასახადის გადამხდელის, დაბეგვრის მექანიზმი, უფლებამოსილებაზე წყვეტილი ან უფლებამოსილება შეჩერებული ნოტარიუსების მიერ შედგენილ ხარვეზიან სანოტარო აქტში ცვლილებების შეტანის წესი, ნოტარიუსის თანამშემწის სტატუსის განსაზღვრა და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ნოტარიატში დანერგვა. გარდა ამისა, ცვლილებების მიზანია, ზოგადად, სანოტარო მომსახურების ხარისხის გაზრდა, სანოტარო ბიუროში სათარჯიმნო მომსახურების ხარისხის ჩათვლით.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
52.	<p>„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>საკანონმდებლო ცვლილებები შეეხება სხვადასხვა საკითხებს: ტერმინითა განმარტებას; უცხოელის მოთხოვნის საფუძველზე დროებითი ბინადრობის ნებართვის გაგრძელების შესაძლებლობას მუდმივი ბინადრობის ნებართვის ნაცვლად; ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზნებისთვის უცხოელის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის საფუძვლების შეზღუდვას; საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლებს; გაძევებას დაქვემდებარებული უცხოელის მიმართ საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადების შესაძლებლობის შეზღუდვას და კანონში არსებული ცალკეული ხარვეზების აღმოფხვრას.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
53.	<p>„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“</p>	<p>კანონპროექტის მიზანია საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა გამარტივებული ნატურალიზაციის ხელშეწყობა და „საქართველოს</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

	<p>საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1954 წლის კონვენციასთან ჰარმონიზაცია. პროექტის შესაბამისად, მოქალაქეობის არმქონე პირი, სხვა უცხოელისაგან განსხვავებით, საქართველოს მოქალაქეობას ჩვეულებრივი წესით მიიღებს საქართველოში 5 წლის განმავლობაში კანონიერად ცხოვრების შემდეგ.</p>	<p>ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	
<p>54.</p>	<p>„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე</p> <p>და „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>ცვლილებების მიზანია ტერორიზმის დაფინანსებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად მიღებული რეზოლუციების სწრაფი და დაუყოვნებლივი იმპლემენტაციის ხელშეწყობა. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ რეზოლუციების იმპლემენტაციის პროცესში სასამართლო რგოლის ჩართულობა იწვევს რეზოლუციით დაკისრებული ვალდებულებების აღსრულების დაყოვნებას. ფინანსური ქმედებების სამუშაო ჯგუფის (FATF) რეკომენდაციით, რეზოლუციების აღსრულება უნდა მოხდეს მათი გამოცემიდან 48 საათის განმავლობაში, რაც ქართულ რეალობაში ვერ მიიღწევა ამ პროცესში სასამართლოს სავალდებულო მონაწილეობის გამო. ამასთან, ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედი ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) პირველადი შეფასებითაც რეზოლუციით ნაკისრი ვალდებულებების აღსრულებას აყოვნებს პროცესში სასამართლოს ჩართულობა. აქედან გამომდინარე, საჭიროა კანონმდებლობაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები და შესაძლებელი გახდეს გაეროს სანქციების კომიტეტის გადაწყვეტილებით სანქციადაკისრებულ პირთა სიაში შეყვანილი პირის ქონებისათვის ყადაღის დადება სასამართლოს მონაწილეობის გარეშე.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
<p>55.</p>	<p>„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის)</p>	<p>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 26 დეკემბრის №1/12/1404 საოქმო ჩანაწერის შინაარსიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა პირადობის დადასტურების ალტერნატიული მეთოდის შემოტანის აუცილებლობა ისე, რომ, მეორე მხრივ, არ დაზიანდეს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების პრიორიტეტი.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

	<p>მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>			
56.	<p>„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>2019 წლის 7 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფომ ხელი მოაწერა „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ“ გაერთიანებული ერების კონვენციას („სინგაპურის კონვენცია მედიაციის შესახებ“), რომელიც ადგენს წესებს მოდავე მხარეების მიერ საერთაშორისო სამედიაციო მორიგებების კონვენციის წევრ სახელმწიფოში გამოყენებასა და აღსრულებასთან დაკავშირებით. აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული ცალკეული დებულებები მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების განხორციელებას. ამ მიზნით, სათანადო ცვლილებები უნდა შევიდეს „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და მათში აისახოს საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნების ამსახველი და საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების მარეგულირებელი ნორმები.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
57.	<p>„პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში</p>	<p>საკანონმდებლო პაკეტის მიზანია, პირველ რიგში, იმ ხარვეზებისა და შეუსაბამობების აღმოფხვრა, რაც არსებობს პენიტენციური სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობაში, მათ შორის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, პატიმრობის კოდექსსა და სხვა აქტებში, საპროცესო კანონმდებლობის ჩათვლით. გარდა ამისა, საკანონმდებლო აქტებს შორის ცალკეული შეუსაბამობები და ხარვეზები გაჩნდა კანონმდებლობაში 2018 წლის 5 ივლისს განხორციელებული ცვლილებებით სამინისტროების გაერთიანების</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

<p>ცვლილების შეტანის თაობაზე“, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>შედეგად. რაც შეეხება კონკრეტულ საკანონმდებლო სიახლეებს: პატიმრობის კოდექსის მოქმედი რედაქციით ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს შეუზღუდავი რაოდენობით გააგზავნოს და მიიღოს წერილები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ ცალკეულ შემთხვევებში, მოქალაქეები გამოხატავენ უკმაყოფილებას და აცხადებენ, რომ არ სურთ გარკვეულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მხრიდან წერილების მიღება. ამ საკითხის მოწესრიგების მიზნით, მიზანშეწონილია, პენიტენციურ დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება, ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენციის გაგზავნა უზრუნველყოს ადრესატის (მესამე პირის) ნების პატივისცემის პრინციპის დაცვით. ამავე კანონპროექტით უნდა მოწესრიგდეს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ ტელეფონით სარგებლობის საკითხებიც.</p> <p>არსებული პრაქტიკით, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაქტილოსკოპირება ხდება ნეგატივების მეშვეობით, რაც ხშირ შემთხვევაში, გარკვეული დროის გასვლის შემდგომ ზიანდება. აშშ-ს საელჩოსა და საერთაშორისო ნარკოტიკებისა და კანონის აღსრულების საქმეთა ბიუროს (INL) მხარდაჭერით შექმნილ იქნა ტექნიკა, რომლითაც შესაძლებელი იქნება თითის ანაბეჭდების ელექტრონულად აღება და შემდგომ ერთიან ბაზაში მისი განთავსება. ამ საკითხის მოწესრიგების მიზნით, ცვლილება უნდა შევიდეს „პატიმრობის კოდექსის“ 35-ე მუხლში, რომლის თანახმად, „შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში, ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაქტილოსკოპირება განხორციელდება ელექტრონული მოწყობილობის საშუალებით“.</p> <p>გარდა ამისა, პრაქტიკის ანალიზიდან და თანამედროვეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საპროცესო კანონმდებლობაში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები და სასამართლოს მიენიჭოს უფლებამოსილება, საამისოდ მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობისას, მხარის ან/და სპეციალური პენიტენციური სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე, დაადგინოს სასამართლო განხილვაში მსჯავრდებულის დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მონაწილეობა.</p> <p>საკანონმდებლო ცვლილებებმა ასევე უნდა გაითვალისწინოს ალტერნატიული სასჯელების უფრო ფართოდ გამოყენების შესაძლებლობა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა წახალისების მექანიზმების გამრავალფეროვნება. და ზოლოს, მოცემულ პაკეტში აისახება ყველა ის საჭირო ცვლილება, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო</p>		
--	--	--	--

		სასამართლოში შეტანილი ან/და მიმდინარე დავებიდან, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მიმდინარე ან პოტენციური დავებიდან, მათ შორის პატიმრების გარკვეული კატეგორიის მხრიდან.		
58.	<p>„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში საჭიროა გაჩნდეს ნორმა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდება ამნისტიის აქტის საფუძველზე სასჯელის სახით დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვა და უვადოდ მსჯავრდებული პირების სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების შესაძლებლობის შემოღება, ბუნებრივია, სამისოდ აუცილებელი მთელი რიგი პირობებისა და მოთხოვნების დაცვით. აღნიშნული ცვლილების განხორციელება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საჭიროა თავიდან იქნეს აცილებული შესაძლო საკონსტიტუციო სარჩელები საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან (კანონის წინაშე თანასწორობა) მიმართებით, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის შესაძლო შემთხვევები, რომლებიც მოტივირებული იქნება უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირებისათვის გათავისუფლების დამატებითი შესაძლებლობის შემოღების საჭიროებით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით.</p>	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
59.	<p>„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის, მოდერნიზაციისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მისი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით იუსტიციის სამინისტროში მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვა. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში შექმნილი ექსპერტთა სამუშაო ჯგუფების ინტენსიური შეხვედრებისა და მუშაობის შედეგად, ევროკავშირის აქტიური მხარდაჭერით, ევროპელი და ამერიკელი ექსპერტების უშუალო მონაწილეობით, სრულად გადაისინჯა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და კერძო ნაწილები და შემუშავდა კოდექსში შესატანი ცვლილების პროექტი.</p> <p>სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვის პროცესში ყურადღება გამახვილდა ისეთ კონცეპტუალურ საკითხებზე, როგორცაა სასჯელის დანიშვნის პრინციპები, სასჯელის სახეები, პირობითი მსჯავრი, გამოსაცდელი ვადა, ჯარიმა და სხვ. გადაიხედა აგრეთვე კონკრეტულ დანაშაულთა შემადგენლობები, მათი დამამძიმებელი გარემოებები, გამოსაყენებელი სასჯელის სახეები და სხვ.</p> <p>სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილების პროექტი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით 2015 წლის ივლისში ევროსაბჭოს გადაეგზავნა, რომლის მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზეც კანონპროექტი კიდევ ერთხელ გადამუშავდა.</p>	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

		კანონპროექტმა გაიარა ასევე ევროკავშირის ექსპერტებისა და ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენლების ექსპერტიზა. დღეის მდგომარეობით საკანონმდებლო ცვლილებათა სრული პაკეტი დასრულებულია, ის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის საბჭომ 2018 წლის 31 მაისს მოიწონა.		
60.	„საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტი მიზნად ისახავს საქართველოში ელექტრონული მმართველობის ხელშეწყობას და გაძლიერებას, მოქალაქისა და ბიზნესისათვის ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნას, ელექტრონული მომსახურების გამარტივებას. ეს პროექტი იყო „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ ახალი კანონის თანმდევი ნაწილი, მაგრამ თავის დროზე ჩაითვალა, რომ არ არსებობდა მზადყოფნა ზაკ-ში ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებების განსახორციელებლად და ის ერთიან პაკეტს გამოეყო. კანონპროექტის მიღება მნიშვნელოვანია „ბიზნესსახლისა“ და სხვა ელექტრონული მმართველობის დარგში განსახორციელებელი რეფორმებისთვის.	კანონპროექტის მიღება, საწყის ეტაპზე, გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
61.	„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება განპირობებულია „სამოქალაქო ან კომერციულ საქმეებზე სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების საზღვარგარეთ ჩაბარების შესახებ“ ჰააგის 1965 წლის კონვენციისა და „სამოქალაქო ან კომერციულ საქმეებზე მტკიცებულებათა საზღვარგარეთ მოპოვების შესახებ“ ჰააგის 1970 წლის კონვენციის საქართველოს სახელმწიფოსთვის სავალდებულოდ აღიარებით. კონვენციებთან საქართველოს მიერთება ხელს შეუწყობს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეებზე სასამართლოთა თანამშრომლობის გაუმჯობესებას და ქვეყნებს შორის სამართლებრივი ურთიერთდახმარების წესისა და პროცედურების გამარტივებას, ისევე, როგორც სამოქალაქო და კომერციული დავების დროულად და ეფექტიანად გადაწყვეტას.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	გამომდინარეობს
62.	„მეწარმეთა შესახებ“ (ახალი კანონპროექტი) (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო	„მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის პროექტი მიზნად ისახავს ამ სფეროში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელებას, მოქმედ კანონში არსებული დაურეგულირებელი საკითხების მოწესრიგებას და ბიზნეს გარემოსთვის უფრო მოქნილი და ხელსაყრელი გარემოს შექმნას. მოქმედი კანონით შემოთავაზებული სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა სამართლებრივი ფორმები სისტემურ-რეგულაციური გაუმართაობის კლასიკური ნიმუშია, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ იძლევა სამეწარმეო საქმიანობის სწორი ორგანიზაციული ფორმის შერჩევის შესაძლებლობას.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	გამომდინარეობს

	<p>ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>მოქმედ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, კანონპროექტი ერთმანეთისაგან მიჯნავს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტების სამართლებრივ ფორმებს და თითოეულ მათგანს აღჭურავს ფუნქციურ-სახასიათო ნიშნებით. ამასთან, კანონპროექტით საკორპორაციო-სამართლებრივ ურთიერთობებში ქცევათა უნიფიცირების, ტრანზაქციული ხარჯების შემცირებისა და განვითარებადი ბაზრის სწორი მიმართულების უზრუნველსაყოფად დაცულია აუცილებელი ბალანსი იმპერატიულ და დისპოზიციურ ნორმებს შორის. ამასთან, კანონპროექტში სრულყოფილად არის ასახული ასოცირების შეთანხმებით საქართველოს მიერ საკორპორაციო სამართლის მიმართულებით აღებული ვალდებულები.</p>		
<p>63.</p>	<p>„სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>მოქმედი კანონმდებლობით შეუძლებელია ექსტრადიციის თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულების (ეტაპირების) უზრუნველსაყოფად პირის დაკავება და მის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენება/გამოყენებული აღკვეთის სხვა ღონისძიების საექსტრადიციო პატიმრობით შეცვლა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მე-3 ნაწილის (პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე) დებულებებისა და 198-ე მუხლით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების და საფუძვლების მხედველობაში მიუღებლად, რაც ხშირ შემთხვევაში აბრკოლებს საექსტრადიციო პროცედურებს, ვინაიდან ექსტრადიციის თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულებისათვის (ეტაპირებისათვის) საჭიროა, რომ პირის მიმართ გამოყენებული იყოს საექსტრადიციო პატიმრობა.</p> <p>ამავე კანონის მოქმედი რედაქციით, ექსტრადიციის გამომრიცხავი გარემოების წინასწარ დადგენისას (მაგ.: ქმედება არ ითვლება დანაშაულად საქართველოში) პროკურორი ამზადებს ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობის თაობაზე შუამდგომლობას, ხოლო მომდევნო ეტაპზე გამართული სასამართლო პროცესი მხოლოდ ფორმალურ/ტექნიკურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან ამ გარემოებას არც დაცვის მხარე ხდის სადავოდ. აქედან გამომდინარე, სასამართლოს ყველა შემთხვევაში გამოაქვს გადაწყვეტილება ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობის თაობაზე.</p> <p>ზემოთითებული პრობლემების აღმოსაფხვრელად საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
<p>64.</p>	<p>„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების</p>	<p>კანონპროექტების მომზადება განაპირობებულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებით. ცვლილებების განხორციელების შემდეგ:</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

<p>შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ</p>	<ul style="list-style-type: none"> - ყველა სამოქალაქო აქტის ჩანაწერი გახდება ელექტრონული დოკუმენტი და მათ დაესმება კვალიფიციური შტამპი; - შეიცვლება/გამარტივდება ქორწინების რეგისტრაციის პროცედურა - ქორწინების რეგისტრაციისთვის აღარ იქნება საჭირო მოწმეთა დასწრება, ხოლო დასაქორწინებელ პირთა მიერ ნების გამოხატვა მოხდება ცალკე ფურცელზე/დანართზე, რომელიც დაერთვება სამოქალაქო აქტს. შესაბამისად, საჭირო აღარ იქნება აქტის ჩანაწერზე მატერიალური ხელმოწერის შესრულება; - ელექტრონული დოკუმენტის არსის შესაბამისად, გაიწერება ელექტრონული დოკუმენტების ჩაბარების პროცედურა; - კანონში გაკეთდება აღნიშვნა იმის თაობაზე, რომ პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა არ წარმოადგენს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ელექტრონულ დოკუმენტს; - ელექტრონული დოკუმენტის შემოღებიდან გამომდინარე, დაზუსტდება სააგენტოს ფუნქციების განხორციელებისას ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან კომუნიკაციის საშუალებები, გაჩნდება სააგენტოსთვის ელექტრონულად მიმართვის და შუამდგომლობის განხილვისათვის საჭირო ელექტრონული დოკუმენტების ან სათანადო ფორმით დამოწმებული ასლების წარმოდგენის შესაძლებლობა. 	<p>დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	
--	---	--	--

	საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)			
65.	<p>„ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტის მიღების მიზეზია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის პრაქტიკაში ეფექტიანი და დროული იმპლემენტაციის დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა, რომელიც დროთა განმავლობაში პრაქტიკამ გამოკვეთა.</p> <p>კანონპროექტი ითვალისწინებს „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის ახლებურად ჩამოყალიბებას. კერძოდ, კანონპროექტის მიღებით გაჩნდება საფუძველი, რომ მსხვერპლებმა, ისევე როგორც დაზარალებულებმა, თანაბრად ისარგებლონ ერთჯერადი 1000 ლარიანი სახელმწიფო კომპენსაციით, წინასწარი პროცედურების გავლის გარეშე. ამასთან, ფონდის ერთჯერადი კომპენსაციის მიღებისთვის სავალდებულო აღარ იქნება სასამართლოს გზით დამნაშავესაგან ზიანის ანაზღაურების შეუძლებლობის წინაპირობის არსებობა.</p> <p>გარდა ამისა, უფრო ცხადად ჩამოყალიბდება მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ პირისათვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების პროცედურები.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, ვინაიდან ფონდის ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტი საკმარისია მსხვერპლებისა და დაზარალებულებისთვის ერთჯერადი, 1000 ლარიანი კომპენსაციის გაცემისთვის.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
66.	<p>„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს</p>	<p>კანონპროექტების ინიცირება უკავშირდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს მოსამსახურეთა სათანადო სოციალური დაცვის გარანტიების არარსებობას, მაშინ როდესაც სხვა უწყებათა წარმომადგენლები, რომლებიც თვისობრივად მსგავს ფუნქციებს ასრულებენ, საამისოდ აუცილებელი წინაპირობების არსებობისას უზრუნველყოფილი არიან სოციალური დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიით - სახელმწიფო კომპენსაციით. შესაბამისად, იმისათვის, რათა იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მოსამსახურე და ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციელი, ანალოგიური სტატუსისა და ფუნქციების მქონე სხვა სამართალდამცავი ორგანოს მოსამსახურეთა მსგავსად, უზრუნველყოფილ იქნენ სოციალური დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიით - სახელმწიფო კომპენსაციით, აუცილებელია შესაბამისი ცვლილება იქნეს შეტანილი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში, ხოლო იმ მიზნით, რომ გენერალურ ინსპექციასა და აღსრულების პოლიციაში სახელმწიფო</p>	<p>გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ვინაიდან ითვალისწინებს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს მოსამსახურეების მიერ სახელმწიფო კომპენსაციით</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

<p>კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>სპეციალური წოდებით სამსახური შინაგან საქმეთა ორგანოებიდან ან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემიდან დათხოვნილ რიგითი ან უფროსი შემადგენლობის პირს წელთა ნამსახურობაში ჩათვალოს, საჭიროა „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.</p>	<p>სარგებლობის უფლებას, რომლის ოდენობა, მოქმედი კანონის თანახმად, 560 ლარს არ უნდა აღემატებოდეს. შესაბამისად, გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე დამოკიდებული იქნება იმ პირთა რაოდენობაზე, რომელთაც დაენიშნებათ სახელმწიფო კომპენსაცია. გარდა ამისა, კანონპროექტების გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე დამოკიდებული იქნება პირთა რაოდენობაზე, რომელთაც იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და აღსრულების პოლიციაში სამსახური წელთა ნამსახურობაში ჩათვლება.</p>	
--	---	---	--

<p>67.</p>	<p>„დასაქმების შესახებ“ (ახალი კანონპროექტი)</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>საქართველოში უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და აქტუალური გამოწვევაა. იგი გვევლინება ქვეყანაში სიღარიბის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად. უმუშევრობა მაღალია როგორც ქალაქად, ისე სოფლად. უმუშევარ მოსახლეობას შორის დომინანტია ახალგაზრდობა, რაც კიდევ უფრო ზრდის სოციალურ რისკებს და საფრთხეს უქმნის ქვეყნის მომავალს.</p> <p>ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას, როგორც ბიზნეს-გარემოს სრულყოფის, ისე შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების გზით. ეს უკანასკნელი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია და მოვალეობაა.</p> <p>შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების სახელმწიფო მხარდაჭერის აუცილებლობა განპირობებულია შემდეგი ობიექტური გარემოებებით:</p> <ul style="list-style-type: none"> – შრომის ბაზარი არ არის თვითრეგულირებადი სისტემა და მას არ შესწევს უნარი, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მოთხოვნებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს შრომითი პოტენციალის რაციონალური გამოყენება და განვითარება, მოსალოდნელ სტრუქტურულ ცვლილებებთან ადამიანური რესურსების დროულად მორგება, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა, ეკონომიკური დაცემის პერიოდში დასაქმების სტაბილიზაცია, უმუშევრობის ზრდის შეჩერება და ა.შ.; – სტიქიურად განვითარებადი შრომის ბაზარი ვერ უზრუნველყოფს დასაქმების სფეროში სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას, სამუშაოს მაძიებელთათვის დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, განსაკუთრებით საზოგადოების იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც შრომის ბაზარზე დაბალ კონკურენტუნარიანები არიან და სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ მხარდაჭერას საჭიროებენ; – შრომის ბაზარი თავისთავად ვერ არეგულირებს უმუშევრობის დონის შენარჩუნებას სოციალურად დასაშვებ დონემდე, არ გააჩნია მოქალაქეთა შრომის უფლებების თანაბარი რეალიზაციის მექანიზმი და ვერ უზრუნველყოფს უმუშევართა სოციალურ დაცვას. <p>აღნიშნულ ამოცანათა გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ შრომისა და დასაქმების სფეროში მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებითა და გატარებით. ამ პოლიტიკის საბოლოო მიზანია შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
------------	---	--	---	--------------------------

	<p>ხელშეწყობა.</p> <p>ზემოხსენებული პრობლემების გადასაჭრელად საქართველოს მთავრობამ 2019 წლის 30 დეკემბერს მიიღო №662 დადგენილება „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“, რომლითაც შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გაძლიერების მიზნით განისაზღვრა საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა, მათ შორის, „დასაქმების შესახებ“ კანონის მიღება.</p> <p>ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული საკითხები ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის თვალსაზრისითაც უაღრესად აქტუალურია, განსაკუთრებით თანამედროვე ეტაპზე, როცა საქართველო ევროკავშირთან ხელი მოაწერა მოლაპარაკებას ასოცირების შეთანხმების შესახებ, რომლის ერთ-ერთი თავი სოციალურ პოლიტიკასა და შრომითი უფლებების საკითხებს ეძღვნება.</p> <p>საქართველოს კანონი „დასაქმების შესახებ“ განსაზღვრავს დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს და არეგულირებს ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა დასაქმებასთან დაკავშირებულ პროცესში დამსაქმებელს, სამუშაოს მაძიებელსა და სახელმწიფოს შორის.</p> <p>კანონის მიზანია:</p> <p>ა) დასაქმების სფეროში სახელმწიფოს კომპეტენციის დადგენა;</p> <p>ბ) საქართველოს მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის საქმიანობის სახეობისა და პროფესიის თავისუფლად არჩევის კონსტიტუციური უფლების განხორციელებისათვის ხელშეწყობა;</p> <p>გ) დასაქმების სფეროში სამუშაოს მაძიებელსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობათა სამართლებრივი პრინციპების განსაზღვრა;</p> <p>დ) უმუშევართა სოციალური დაცვის ეკონომიკური, სოციალური და ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა;</p> <p>ე) დასაქმების სფეროში საქართველოს მოქალაქეებისათვის სახელმწიფო გარანტიებისა და დაბალკონკურენტუნარიანი შრომითი რესურსებისათვის სახელმწიფო გარანტიების განსაზღვრა;</p> <p>ვ) დასაქმების სფეროში სოციალური პარტნიორების ფუნქციების, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გაერთიანებებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთმოქმედების მექანიზმისა და უფლება-მოვალეობების განსაზღვრა.</p> <p>აღნიშნული კანონის მიღება გამოკვეთს სახელმწიფოს როლს დასაქმების პროცესში,</p>		
--	---	--	--

		<p>ხელს შეუწყობს ქვეყანაში დასაქმების სფეროში მოღვაწე კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის ოპტიმიზაციას, რაც დადებითად აისახება შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობაზე, შრომის სფეროში რეალური სოციალური დიალოგისა და პარტნიორობის განვითარებაზე, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს შრომითი დავებისა და კონფლიქტების რისკს.</p>		
68.	<p>„საქართველოს ორგანული კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით საქართველომ აიღო ვალდებულება ეტაპობრივად დაუახლოვოს საქართველოს კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას.</p> <p>ამ მხრივ აღსანიშნავია ასოცირების შეთანხმების XXX დანართი, რომელიც მოიცავს ისეთ მიმართულებებს (ჯამში 40 დირექტივა), როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები; • დისკრიმინაციის აკრძალვა და გენდერული თანასწორობა; • ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე. <p>2019 წელს განხორციელდა ცვლილებები რიგ საკანონმდებლო აქტებში, რომლებიც ძირითადად შეეხებოდა დისკრიმინაციის აკრძალვისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას. 2020 წელს უნდა დასრულდეს შრომის, დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროში 11 დირექტივის ტრანსპოზიცია ქართულ კანონმდებლობაში. ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> • 1991 წლის 14 ოქტომბრის საბჭოს 91/533/EEC დირექტივა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ან დასაქმებასთან დაკავშირებული ურთიერთობების შესახებ დამსაქმებლის მიერ დასაქმებულთა ინფორმირების ვალდებულების შესახებ; • 1999 წლის 28 ივნისის საბჭოს 1999/70/EC დირექტივა ევროპის პროფკავშირების კონფედერაციის (ETUC), ევროპის მრეწველთა და დამსაქმებელთა კონფედერაციის კავშირისა (UNICE) და დამსაქმებელთა და საწარმოთა ევროპული ცენტრის (CEEP) მიერ გაფორმებული „ვადიანი სამუშაოს შესახებ“ ჩარჩო შეთანხმების თაობაზე; • 1997 წლის 15 დეკემბრის საბჭოს 97/81/EC დირექტივა ევროპის მრეწველთა და დამსაქმებელთა კონფედერაციის კავშირის (UNICE), დამსაქმებელთა და საწარმოთა ევროპული ცენტრისა (CEEP) და ევროპის პროფკავშირების 	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>გამომდინარეობს</p>

		<p>კონფედერაციის (ETUC) მიერ გაფორმებული „ნახევარ განაკვეთზე სამუშაოს შესახებ“ ჩარჩო შეთანხმების თაობაზე - დანართი: „ნახევარ განაკვეთზე სამუშაოს შესახებ“ ჩარჩო შეთანხმება;</p> <ul style="list-style-type: none"> • 2002 წლის 11 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/14/EC დირექტივა, რომელიც აყალიბებს ზოგად სტრუქტურას ევროპის თანამეგობრობაში დასაქმებულთა ინფორმირებისა და მათთვის კონსულტაციების გაწევის მიზნით – ევროპარლამენტის, საბჭოსა და ევროკომისიის ერთობლივი დეკლარაცია დასაქმებულთა წარმომადგენლობის შესახებ; • 2006 წლის 5 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/54/EC დირექტივა, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებისა და საქმიანობის საკითხებთან მიმართებით მამაკაცისა და ქალის თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას; • 1992 წლის 19 ოქტომბრის საბჭოს 92/85/EEC დირექტივა, რომელიც ეხება ორსულ, ახალნამშობიარე და მეძუძურ მუშაკათათვის შრომის უსაფრთხო პირობებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღებას (მე-10 ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში); • 1978 წლის 19 დეკემბრის საბჭოს 79/7/EEC დირექტივა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალური უსაფრთხოების საკითხებზე მამაკაცისა და ქალის თანაბარი მოპყრობის პრინციპების განხორციელებას. • 1998 წლის 20 ივლისის საბჭოს 98/59/EC დირექტივა სამსახურიდან კოლექტიური გათავისუფლების შესახებ წევრ სახელმწიფოთა კანონების დაახლოების თაობაზე; • 2001 წლის 12 მარტის საბჭოს 2001/23/EC დირექტივა საწარმოებისა და ბიზნესების სრული ან ნაწილობრივი გასხვისების შემთხვევაში დასაქმებულთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით წევრ სახელმწიფოთა კანონების დაახლოების თაობაზე; • 1991 წლის 25 ივნისის საბჭოს 91/383/EEC დირექტივა, რომელიც ავსებს 		
--	--	--	--	--

		<p>ფიქსირებული ვადით ან დროებით დასაქმებულ მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების ხელის შეწყობ ზომებს.</p> <ul style="list-style-type: none"> • 2003 წლის 4 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/88/EC დირექტივა სამუშაო დროის ორგანიზების გარკვეული ასპექტების შესახებ <p>განსახორციელებელი ცვლილებების მიხედვით:</p> <ul style="list-style-type: none"> - უზრუნველყოფილი იქნება თანასწორი მოპყრობის პრინციპის დაცვა ვადიანი ხელშეკრულებით და არასრულ სამუშაო განაკვეთზე მომუშავე დასაქმებულთათვის; - დაეხმარება სამუშაო ადგილებზე მამაკაცისა და ქალის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, რაც გულისხმობს სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვას, თანაბარი შრომისთვის თანაბარ ანაზღაურებას და სხვა; - შეიქმნება დასაქმებულისთვის დაცვის დამატებითი გარანტიები ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების პერიოდში და დასრულების შემდეგ; დაიცავს ორსულ, ახალნამშობიარები ან მეძუძურ დასაქმებულების ჯანმრთელობას, ხელს შეუწყობს მათ ჩართულობას აქტიურ შრომით საქმიანობაში, ასევე დაეხმარება მათ კარიერულ წინსვლასა და პროფესიულ მობილობაში; - განისაზღვრება დამსაქმებლის ვალდებულება, დროულად მიაწოდოს ინფორმაცია დასაქმებულებს შრომის არსებითი პირობების ან მათი ცვლილების შესახებ; - განისაზღვრება დამსაქმებელთა ვალდებულება გაატაროს პრაქტიკული ღონისძიებები ინფორმირების და კონსულტირების უფლების დასაცავად, რაც მოიაზრებს დასაქმებულთათვის ინფორმაციის მიწოდებას დაწესებულების/საწარმოს საქმიანობის არსებული და სამომავლო განვითარების შესახებ, მათ შორის ეკონომიკური მდგომარეობისა და იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს შრომის ორგანიზებაზე ან/და შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობებზე. - დადგინდება კრიტერიუმები მასობრივი დათხოვნის განსაზღვრისთვის, ასევე დამსაქმებლის ვალდებულება დროულად მიაწოდოს ინფორმაცია მასობრივი დათხოვნის შესახებ დასაქმებულებს და გამართოს მათთან 		
--	--	--	--	--

		<p>კონსულტაციები, რათა თავიდან იქნეს აცილებული მასობრივი დათხოვნა ან მისი რაოდენობრივი შეზღუდვა, ასევე შესაძლებლობა, შერბილდეს მისი შედეგები თანმდევი სოციალური ღონისძიებებით.</p> <ul style="list-style-type: none"> - განისაზღვრება ბიზნესის ან ბიზნესის გასხვისების მომენტში არსებული შრომითი ხელშეკრულებიდან ან შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე გამსხვისებლის და შემძენის უფლებები და მოვალეობები, ასევე გამსხვისებლისა და შემძენის ვალდებულება მიაწოდონ დასაქმებულებს ინფორმაცია და გამართონ კონსულტაციები დროულად, გასხვისებამდე შემდეგ საკითხებზე: გასხვისების თარიღი ან გასხვისების დაგეგმილი თარიღი, გასხვისების საფუძველი, დასაქმებულთათვის გასხვისების სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური შედეგები, დასაქმებულებთან დაკავშირებით მისაღები ზომები. - ადგენს განსაზღვრული ვადით დასაქმებულების უფლებას, მიიღონ ინფორმაცია სამუშაო პირობების შესახებ, გაიარონ სამუშაოს ტიპთან დაკავშირებული გადამზადება, მათი კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილნი იყვნენ სათანადო სამედიცინო შემოწმებით, რაც აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ ისინი ასრულებენ ისეთ სამუშაოს, რომელსაც სამედიცინო შემოწმება სჭირდება. - განისაზღვრება დირექტივის შესაბამისად დღისა და კვირის განმავლობაში სამუშაო საათების, შესვენების და დასვენების დროის მაქსიმალური ოდენობა, რეგულირდება ღამით მუშაობა და ღამით მომუშავეების ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება. - განისაზღვრება შესაბამისი სანქციები შრომის კანონმდებლობის დარღვევაზე. 		
69.	<p>„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>პროექტი მიზნად ისახავს იმ ცვლილებების შეტანას „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, რომლის საჭიროებაც დადგა აღნიშნული კანონის ამოქმედების შემდგომ მისი პრაქტიკაში გამოყენების შემდეგ.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
70.	<p>„შრომის ინსპექციის</p>	<p>„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი</p>	<p>პროექტის მიღებამ</p>	<p>გამომდინარეობს</p>

	<p>შესახებ“</p> <p>(ახალი კანონპროექტი)</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>ითვალისწინებს, შრომის კანონმდებლობისა და პირობების ზედამხედველობის განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტის პროექტის მომზადებასა და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენას. შესაბამისად, მოცემული პროექტი ითვალისწინებს, კანონისმიერი ვალდებულების შესრულებას.</p> <p>შეიქმნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შრომის ინსპექცია, განისაზღვრება მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპები, უფლებები და მოვალეობები, შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით.</p> <p>აღნიშნული კანონპროექტის მიღების აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ შრომის ინსპექცია გახდეს უფრო მეტად დამოუკიდებელი ორგანო და მისი საქმიანობა განხორციელდეს დამოუკიდებლად, საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.</p>	<p>შესაძლებელია გამოიწვიოს დამატებითი ხარჯების გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან იმდენად, რამდენადაც ითვალისწინებს შრომის კანონმდებლობის აღსრულებაზე საზედამხედველო სამსახურის (სსიპ საქართველოს შრომის ინსპექცია) შექმნას.</p>	
--	---	---	--	--

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

71.	<p>„საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>იგეგმება ცვლილება (შემცირება) მანძილის (100 მეტრი), რომლის ფარგლებშიც აუცილებელია საქმიანობის გზის მფლობელთან შეთანხმება. კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონებში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან საქმიანობის შეთანხმების ვალდებულებას. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, გზის მიმდებარედ მოთხოვნილი საქმიანობის სახეობის გათვალისწინებით, შეთანხმების საჭიროება 100 მეტრის მანძილზე არ არის აუცილებელი და შესაბამისად, სამინისტრო განიხილავს აღნიშნული მანძილის შემცირების საკითხს.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
72.	<p>„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის ამოქმედების შემდეგ, კოდექსით განსაზღვრული გარკვეული წესებისა და ნორმების განხორციელებისათვის, მიზანშეწონილია გარკვეული მუხლების დაზუსტება როგორც რედაქციულად, ისე შინაარსობრივად.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
73.	<p>„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p>	<p>საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ზოგიერთი სანქცია, სპეციფიკის გათვალისწინებით, დადგენილი იყო მხოლოდ იმ ქმედებისთვის, რომელიც ხორციელდებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები, გარკვეული გამონაკლისების გარდა, სხვა მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებების მსგავსია, არ არსებობს სხვა</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

	(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	მუნიციპალიტეტებთან მიმართებით, მისი განსხვავებულ პირობებში ჩაყენების საფუძველი. აღნიშნულმა განაპირობა წინამდებარე კანონპროექტის მომზადებისა და ქვეყნის მასშტაბით, თითოეული მუნიციპალიტეტის თანაბარ პირობებში ჩაყენების აუცილებლობა.		
74.	„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	კანონპროექტით შემოდის დამატებითი კრიტერიუმი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მისანიჭებლად განსაზღვრულ კრიტერიუმებზე.	კანონპროექტის მიღება იქონიებს გავლენას შესაბამისი წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.	არ გამომდინარეობს
75.	„საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	2014 წლის 5 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. აღნიშნული კოდექსის 165-ემუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა სრულად გამიჯვნისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებათა დელეგირების მიზნით შესაბამისი სფეროების განსაზღვრა და საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო აქტის პროექტის წარდგენა. კანონპროექტის მომზადების მიზეზია აღნიშნული საკანონმდებლო ვალდებულების შესრულება. წარმოდგენილი ინიციატივით ხორციელდება შინაარსობრივი და ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილება და საკანონმდებლო აქტების ჰარმონიზაცია. გარდა ამისა, ხდება მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილებების დაზუსტება. ამასთან, პროექტებში ასევე აისახება დეცენტრალიზაციის სტრატეგიით გათვალისწინებული საკითხები და მკაფიოდ გაიმიჯნება სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები.	კანონპროექტების მიღება ძირითადად არ არის დაკავშირებული ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფასთან.	არ გამომდინარეობს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

<p>76.</p>	<p align="center">„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p align="center">(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება განაპირობა კანონში არსებული ხარვეზის გამოსწორების აუცილებლობამ. კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ყოველგვარ გამონაკლისზე მითითების გარეშე ადგენს, რომ უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირს უფლება აქვს, მიიღოს სახელმწიფო კომპენსაცია, მაშინ როდესაც, ამავე კანონის სხვა მუხლი ადგენს იმგვარ პირობებს, რომელიც შეუძლებელს ხდის კომპენსაციის გაცემას უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირთა საკმაოდ დიდი ნაწილისათვის. (მაგ. თუ ყოფილმა მინისტრის მოადგილემ/ელჩმა/დეპარტამენტის დირექტორმა დიპლომატიური კარიერა დაასრულა სამმართველოს უფროსის ან მრჩევლის და სხვა თანამდებობაზე, მას არ ეკუთვნის კომპენსაცია).</p> <p>ზემოაღნიშნული მუხლის მოქმედი რედაქციის მეორე პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ კომპენსაციის გაანგარიშება ხდება პირის მიერ ბოლოს დაკავებული თანამდებობის ბოლო ერთი წლის ხელფასის მიხედვით, რაც ზოგჯერ უკავშირდება 15-20 წლის წინანდელ, ძალიან დაბალ თანამდებობრივ სარგოებს, და არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მათ, ვინც, მაგალითად, 15-20 წლის წინ დაასრულა დიპლომატიური კარიერა და ვინც 5-10 წლის წინ გავიდა პენსიაზე.</p> <p>აღნიშნული პრობლემების გადაჭრისათვის საჭიროა კანონის მე-15 მუხლის იმ რედაქციის აღდგენა (მცირე რედაქციული ხასიათის შესწორებით), რომელიც მოქმედებდა 2012 წლის 24 აპრილამდე, რომლის მიხედვითაც კომპენსაციის გაანგარიშება უკავშირდება კომპენსაციის დანიშვნის მომენტისათვის შესაბამისი თანამდებობისათვის დაწესებულ თანამდებობრივ სარგოს, რაც გამორიცხავს ზემოაღნიშნულ დისკრიმინაციას. ეს რედაქცია რეგულირების მიღმა არ ტოვებს ასევე იმ კატეგორიასაც, რომლებმაც დიპლომატიური კარიერა მაინცდამაინც უმაღლეს დიპლომატიურ თანამდებობაზე არ დაასრულეს, მაგრამ აქვთ უმაღლესი დიპლომატიური რანგი.</p> <p>კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილებებით დგინდება ასევე, სახელმწიფო კომპენსაციის გაანგარიშების წესი უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირთა იმ კატეგორიისათვის, რომლებსაც არ უმუშავიათ უმაღლეს დიპლომატიურ თანამდებობაზე.</p>	<p>კანონპროექტის მიღებამ შესაძლებელია გამოიწვიოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უმნიშვნელო ხარჯი. სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირებისათვის გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებთა რაოდენობაა სულ – 21 პირი და მათზე თვეში გასაცემი კომპენსაციის ოდენობაა – 10136,01 ლარი. ზემოაღნიშნული სტატისტიკიდან გამომდინარე, იკვეთება ის გარემოება, რომ სახელმწიფო</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
-------------------	---	--	--	--------------------------

			<p>კომპენსაციის მიმღებ პირთა დიდი უმრავლესობა ისედაც იღებს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მაქსიმუმს - ყოველთვიურად 560 ლარს და მოქმედი რედაქციის ხარვეზის გასწორების შედეგად ანაზღაურების კორექტირება მხოლოდ რამდენიმე პირისათვის, ნიშნავს ხარჯის ცვლილებას დაახლოებით ათასი ლარის ფარგლებში.</p>	
--	--	--	---	--

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

<p>77.</p>	<p>„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტის მომზადების აუცილებლობა გამომდინარეობს საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან. ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის დირექტივასთან დამატებული ღირებულების გადასახადის ნაწილში. ამასთან, ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>გამომდინარეობს</p>
<p>78.</p>	<p>„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტის მომზადების აუცილებლობა განპირობებულია გადასახადების ადმინისტრირების ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავების უზრუნველყოფის, ასევე გადასახადების ადმინისტრირების სრულყოფის, სამართლიანი და მოქნილი ადმინისტრირებისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნის, ტექნიკური უზუსტობებისა და ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით. კანონპროექტი ითვალისწინებს გადასახადების ადმინისტრირების მექანიზმების დახვეწას, ბუნდოვანი ნორმების ნათლად ჩამოყალიბებას, ცალკეული ნორმების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას და უზუსტობების დაზუსტებას.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
<p>79.</p>	<p>„საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტის მომზადების აუცილებლობა განპირობებულია საბაჟო ზედამხედველობის, საბაჟო კონტროლისა და საბაჟო ფორმალობების სრულყოფის, მოქნილი ადმინისტრირებისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნის, ასევე ტექნიკური უზუსტობებისა და ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით. კანონპროექტი ითვალისწინებს საბაჟო ზედამხედველობის, საბაჟო კონტროლისა და საბაჟო ფორმალობების დახვეწას, ბუნდოვანი ნორმების ნათლად ჩამოყალიბებას, ცალკეული ნორმების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას და უზუსტობების აღმოფხვრას.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

	ერთად)			
80.	<p>„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტის მომზადების აუცილებლობა განპირობებულია საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადების ადმინისტრირების მექანიზმის სრულყოფის მიზნით, გადასახადებით დაბეგვრისთვის აუცილებელ ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფით.</p> <p>კანონპროექტი ითვალისწინებს ისეთი რეგულაციის შემოღებას, რომელიც უზრუნველყოფს საგადასახადო ორგანოს გადასახადების ადმინისტრირების მიზნებისათვის აუცილებელი და სრულყოფილი ინფორმაციით.</p>	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
81.	<p>„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტის მიზანია გაიზარდოს სახედამხედველო ორგანოს მდგრადობის ხარისხი, დაიხვეწოს ორგანიზაციული სტრუქტურა, მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკასთან შემდგომი დაახლოების გზით.</p> <p>პროექტი მიზნად ისახავს დღეს მოქმედი საბჭოს ფუნქციონირების ეფექტიანობის ზრდას და შესაბამის რეორგანიზაციას, რათა გაძლიერდეს პოლიტიკის განმსაზღვრელი, დარგობრივი ექსპერტიზის და დავების განხილვის მიმართულებები.</p>	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
82.	<p>„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“</p>	<p>კანონპროექტის შემუშავების მიზანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის დახვეწა და სრულყოფა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტურად განხორციელებისთვის ხელის შეწყობა.</p>	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	გამომდინარეობს

	(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)			
83.	<p>„საშემფასებლო საქმიანობის შესახებ“</p> <p>(ახალი კანონპროექტი)</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტის შემუშავების მიზანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის გარკვეული ნორმების მოთხოვნების დაცვა, კერძოდ, კანონის 28-ე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულია, რომ უდიტორული და საშემფასებლო პროფესიების გამიჯვნის მიზნით საქართველოს მთავრობამ უნდა შეიმუშაოს საშემფასებლო საქმიანობის შესახებ საკანონმდებლო აქტი.</p> <p>პრაქტიკა გვაჩვენებს რომ საქართველოში სრულყოფილად არ არის რეგულირებული საშემფასებლო საქმიანობა, არ არის განსაზღვრული თუ როგორ და რა სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით ხორციელდება იგი. სამოქმედოდ ოფიციალურად არ არის შემოღებული ის სამოქმედო სტანდარტები, რომლის მიხედვითაც შემფასებლები ახორციელებენ საქმიანობას.</p> <p>პროექტი გააძლიერებს შემფასებელთა პროფესიულ ორგანიზაციებს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს დაინტერესებულ პირთა პროფესიული განათლების მიღებას, შემფასებელთა პროფესიულ განათლებას და მუდმივ მონიტორინგს. კანონის მიღებით გაიზრდება საშემფასებლო საქმიანობის მიმართ ნდობა, უზრუნველყოფილი იქნება ინვესტიციების მოზიდვა, მოხდება ეკონომიკური საქმიანობისათვის ხელშეწყობა.</p>	კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები დაფინანსდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.	არ გამომდინარეობს
84.	<p>„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, რიგ ორგანიზაციებს უფლება აქვთ დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით გახსნან მიმდინარე ან/და სადეპოზიტო ანგარიშები კომერციულ ბანკში, აღნიშნულ ანგარიშებზე თანხების ჩარიცხვა/გადარიცხვა შესაძლებელია ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან/ანგარიშზე. აღნიშნული თანხების აღრიცხვას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, რომელსაც ესაჭიროება ინფორმაცია კომერციული ბანკებიდან ნაშთების შესახებ.</p> <p>წარმოდგენილი ცვლილება განპირობებულია იმით, რომ კანონმდებლობით დარეგულირდეს კომერციული ბანკებიდან აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვის შესაძლებლობა.</p>	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

<p>85.</p>	<p>„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტის მომზადება განპირობებულია სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობაზე რეგულაციების შემოღების აუცილებლობით. კანონპროექტი აწესებს ახალი სანებართვო საქმიანობის სახეებს, სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული და მომგებიანი თამაშობის მოწყობაზე.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
<p>86.</p>	<p>„სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტის მომზადების აუცილებლობა განპირობებულია სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთების ოპტიმიზაციის აუცილებლობით. კანონპროექტი ასევე, ითვალისწინებს მოსაკრებლის გადახდის წესის ცვლილებას.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
<p>87.</p>	<p>„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p>	<p>ცვლილების ინიცირება ხდება კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით. კერძოდ, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვალდებულება საქართველოს მთავრობას წარუდგინოს სახელმწიფო პენსიის ინდექსაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ჩანაცვლების</p>	<p>კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, საჭირო იქნება სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა,</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

	<p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კოეფიციენტის შენარჩუნება.</p>	<p>რომლის ოდენობის განსაზღვრა ამ ეტაპზე შეუძლებელია.</p>	
--	---	----------------------------------	--	--

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

<p>88.</p>	<p>„დნმ-ის კოდის ერთიანი ბანკის შექმნის შესახებ“</p> <p>(ახალი კანონპროექტი)</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი ითვალისწინებს დნმ-ის კოდის მონაცემთა ერთიანი ბანკის შექმნას და მისი ფუნქციონირების საფუძვლების გაწერას. დნმ-ის კოდის ერთიანი ბანკის შექმნის მიზანია ხელი შეუწყოს პირთა იდენტიფიკაციას, დანაშაულის პრევენციას, გახსნასა და მის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას. საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე მიდგომების დანერგვას დნმ-ის კოდის ბანკის შექმნის კონტექსტში.</p>	<p>კანონპროექტის მიღება გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
<p>89.</p>	<p>„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>პერსონალური მონაცემების დამუშავების სფეროს რეგულაციისათვის აუცილებელია, რომ არსებობდეს მონაცემთა დამუშავების კანონისმიერი საფუძველი. აღნიშნული მიზნით, იგეგმება ცვლილების განხორციელება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში. აღნიშნული კანონპროექტი დაარეგულირებს შინაგან საქმეთა სამინისტროში პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივ საფუძვლებსა და დამუშავების წესებს.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
<p>90.</p>	<p>„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობა. ვინაიდან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის არსებული რედაქცია არ ითვალისწინებს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი სამართალდარღვევების დამამძიმებელ გარემოებად განსაზღვრას, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის არსებული რეგულაციები არასრულია, მიზანშეწონილია, აღნიშნული ნორმატიული აქტების მოდიფიცირება/შეცვლა. საკანონმდებლო ცვლილებები გააადვილებს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების იდენტიფიცირებას, მათზე</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

	შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	ეფექტიან რეაგირებასა და შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას.		
91.	<p>„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	ცვლილების შესაბამისად, შეიქმნება საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის სპეციალურ ავტოსადგომზე გადაყვანილი ავტომანქანების ადმინისტრირების ეფექტიანი მექანიზმი.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
92.	<p>„სპორტულ და კულტურულ ღონისძიებათა უსაფრთხოების შესახებ“</p> <p>(ახალი კანონპროექტი)</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	პროექტის შემუშავება განპირობებულია სპორტულ შეჯიბრებებზე, კულტურულ ღონისძიებებზე უსაფრთხოების ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობით. აღნიშნულ პროექტზე მუშაობისას გაანალიზდა სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა, რის საფუძველზეც შემუშავდა წარმოდგენილი რეგულაციები, რომელიც ხელს შეუწყობს მასობრივი ხასიათის სპორტული და კულტურული ღონისძიებების დროს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანად დაცვას.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
93.	<p>„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და</p>	„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციით განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურეთა მიღებისა და სამსახურის გავლის წესი. აღნიშნული რეგულაციები საჭიროებს დახვეწას. კერძოდ, საშტატო ერთეულით გათვალისწინებულ პოზიციაზე პირის დანიშვნა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური სახელმწიფო წოდების მინიჭებით.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

	<p>„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში კანონმდებლობა ითვალისწინებს შტატზე, როგორც წოდებით, ასევე წოდების გარეშე დანიშვნის შესაძლებლობას, მნიშვნელოვანია „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები. ასევე, ცვლილებებს საჭიროებს მოსამსახურის თანამდებობაზე გადაადგილების/გადაყვანისა და სპეციალური შემოწმების მარეგულირებელი ნორმები.</p> <p>გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს მიენიჭოს უფლებამოსილება ადგილზე განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, თუ საკითხი არ საჭიროებს დამატებით ადმინისტრაციულ გამოკვლევას.</p>		
<p>94.</p>	<p>„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>მნიშვნელოვანია შეიქმნას ქმედითი მექანიზმი, რომელიც უცხოელების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობის აღსრულების შესაძლებლობას შექმნის. ცვლილების თანახმად, შესაძლებელი იქნება, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, ან მოქალაქეობის არმქონე პირს შეეზღუდოს საქართველოში შემოსვლა, თუ მას არ გადაუხდია ჯარიმა, რომელიც დაწესებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
<p>95.</p>	<p>„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ</p>	<p>ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცალკეული ნორმები საჭიროებს დაზუსტებასა და დახვეწას. მათ შორის, არის კოდექსის 122-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც პასუხისმგებლობას აწესებს სატრანსპორტო საშუალების წინასწარი შეცნობით სხვისი ან შენიღბული სახელმწიფო საწარმო ნიშნით მართვისთვის. აღნიშნული მუხლი არ შეიცავს შენიღბვის განმარტებას, რაც ქმნის ერთგვარ პრობლემას. გარდა ამისა, 127¹ მუხლით გათვალისწინებული საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის გადაზიდვის ან არაგაბარტული (მსხვილგაბარტიანი) სატრანსპორტო საშუალებით გზაზე მოძრაობის წესების დარღვევისთვის პასუხისმგებლობის ზომები საჭიროებს</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

	საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	გამკაცრებას.		
96.	<p>„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლში შეტანილ იქნას ცვლილება, რომელიც შეეხება გასწრებასთან დაკავშირებულ მანევრებს.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
97.	<p>„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონის პრაქტიკაში განხორციელების ანალიზის საფუძველზე, დახვეწას საჭიროებს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ტერმინოლოგია (მაგ. ოჯახის წევრი, სპეციფიკური საჭიროების მქონე პირი და ა.შ.), თავშესაფრის მამიებლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებული ნორმები, ასევე, განმეორებითი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების პროცედურა და სხვა საკითხები.</p> <p>გარდა ამისა, დახვეწას საჭიროებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII⁶ თავი (ადმინისტრაციული სამართალწარმოება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან ან თავშესაფრის მიცემასთან დაკავშირებით) - მოცემულ თავში გამოყენებული ტერმინები საჭიროა შესაბამისობაში მოვიდეს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან, ასევე საჭიროა სრულყოფილად გაიწეროს საერთაშორისო დაცვის განხორციელებისთვის საჭირო პროცედურული ნორმები.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
98.	<p>„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p>	<p>დღეს მოქმედი რეგულაციით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე რიცხული კულტივირებული აქტივების ჩამოწერის პროცედურები დროში ხანგრძლივი პროცესია და საჭიროა აღნიშნულის დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

	(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)			
99.	<p>„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>მნიშვნელოვანია, გადაიხედოს ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები. ეროვნულ კანონმდებლობაში არ არსებობს ეფექტიანი ნორმები, რომლებიც სამართალდამცველს შესაძლებლობას მისცემდა, დროულად და ეფექტიანად მოეხდინა მიუსაფარ/ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებზე რეაგირება. პოლიციელი უფლებამოსილია მხოლოდ შემაკავებელი ორდერის გამოცემის საფუძველზე გადაიყვანოს ბავშვი თავშესაფარში. რამდენადაც ხშირად ვერ ხდება ბავშვის/მისი მშობლების ვინაობის დადგენა, აღნიშნული ართულებს შემაკავებელი ორდერის გამოცემას. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს ცვლილებები, რაც შესაძლებელს გახდის ბავშვის გადაყვანას შემაკავებელი ორდერის გამოცემის გარეშე, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს პროცედურას.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
100.	<p>„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>იცვლება კანონის 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესი, რომელიც ადგენს, რომ პოლიციელს უფლება არა აქვს, ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა, ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე სხვა სახაზინო დაწესებულებაში ან ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოში, ეკავოს რაიმე თანამდებობა სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში. აღნიშნულ ჩანაწერს მიზანშეწონილია ასევე დაემატოს - „გარდა სამედიცინო საქმიანობისა“, თუ ეს ხელს არ შეუშლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. აღნიშნული ხელს შეუწყობს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მოზიდვას.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
101.	<p>„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა</p>	<p>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის VII¹ თავი არეგულირებს პროკურორის მიერ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სისხლის სამართლის საქმეებში ჩართვის საკითხს და დეტალურად ადგენს შესაბამის პროცედურას.</p> <p>რეგულირების მიღმა რჩება გამომძიებლის მიერ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობის შესაძლებლობა სისხლის სამართლის პროცესში, რაც საჭიროებს სათანადო ცვლილებებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

	თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)			
--	---	--	--	--

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და სხვა უწყებები

<p>102.</p>	<p>„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“</p> <p>(ახალი კანონპროექტი)</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც 1984 წელს არის მიღებული, ვერ პასუხობს ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით არსებულ გამოწვევებს და არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. შესაბამისად, აუცილებელია ახალი კოდექსის მიღება.</p> <p>ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალი კოდექსით და ცვლილებათა პაკეტით მკაფიო რეგულაციები შემუშავდება იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომელთათვისაც მოქმედი კოდექსი სახდელის სახით ითვალისწინებს ადმინისტრაციული პატიმრობას. ასევე, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირისთვის გაიწერება ადეკვატური პროცესუალური გარანტიები.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
<p>103.</p>	<p>„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტის შესაბამისად, ცვლილება შეეხება ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა და ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტთა რაოდენობას.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
<p>104.</p>	<p>„ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის“</p>	<p>კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის (კერძოდ, აღნიშნული შეთანხმების დანართი XV – 2002/87/EC დირექტივა). კანონპროექტის მიღების შედეგად საქართველოს კანონმდებლობაში აისახება ფინანსური კონგლომერატის დეფინიცია და აღნიშნულთან დაკავშირებით ჩამოყალიბდება საზედამხედველო ჩარჩო. კერძოდ, შესაბამის საზედამხედველო ორგანოებს მიენიჭება ფინანსური კონგლომერატის დონეზე დამატებითი</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>გამომდინარეობს</p>

	<p>შესახებ“ (ახალი კანონპროექტი)</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილება. აღნიშნულის განხორციელება მოხდება იმ სექტორული საზედამხედველო წესების პარალელურად, რომლის უფლებამოსილებაც არსებობს დღეის მდგომარეობით შესაბამისი დაწესებულებების დონეზე.</p>		
<p>105.</p>	<p>„საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის (კერძოდ, აღნიშნული შეთანხმების დანართი XV – EU 2015/2366 დირექტივა). აღნიშნული ცვლილებების შედეგად, საგადახდო სისტემების და საგადახდო მომსახურების მარეგულირებელი კანონმდებლობა კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდება ევროკავშირის დირექტივას, კერძოდ, ჩამოყალიბდება საგადახდო მომსახურების ახალი სახეობები, დაზუსტდება მომხმარებლის და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების პასუხისმგებლობები არაავტორიზებული ოპერაციების განხორციელებისას, განისაზღვრება ღია ბანკინგისა და მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაციის მოთხოვნები.</p> <p>კანონპროექტით ასევე განისაზღვრება გადახდის ოპერაციაში მონაწილე სუბიექტების მიერ ერთმანეთისათვის გადასახდელი ურთიერთგაცვლის საკომისიოს ოდენობა და მასთან დაკავშირებული საკითხები.</p> <p>გარდა ამისა, კანონპროექტით განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, თავის მიერ დადგენილი წესით დაარეგისტრიროს საბარათე სქემები და მიიღოს მათგან ინფორმაცია.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>გამომდინარეობს</p>
<p>106.</p>	<p>„ჩეკის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ</p>	<p>კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია Moneyval-ის მე-4 რაუნდის შემოწმების შედეგად საქართველოსთვის მიცემული რეკომენდაციის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, წარმომდგენზე ჩეკი არის მომეტებული რისკის მატარებელი AML-ის მიმართულებით და მიზანშეწონილია მისი გაუქმება და ჩეკის გამოწერა წინასწარ ფინანსური ინსტიტუტის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად იდენტიფიცირებულ პირზე.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

	საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)			
107.	<p>„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია სესხის გამცემი სუბიექტის ცნების გაფართოების საჭიროებისა და სალიზინგო კომპანიების საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ შემოყვანის აუცილებლობით. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული სესხის გამცემი სუბიექტის ცნება არეგულირებს მხოლოდ საკრედიტო/სასესხო ურთიერთობებს, რამაც გამოიწვია ბაზარზე დაურეგულირებელი სფეროების გაჩენა, ცალკეული პირების მიერ სესხის გამცემი სუბიექტის რეგულირებისათვის თავის არიდების მიზნით. ამდენად, მნიშვნელოვანია გაფართოვდეს სესხის გამცემი სუბიექტის ცნება, რათა აღნიშნულმა მოიცვას არა მხოლოდ სესხის/კრედიტის გამცემი პირების საქმიანობა, არამედ ისეთი ურთიერთობებიც, რომელიც თავისი შინაარსიდან და მახასიათებლებიდან გამომდინარე, საკრედიტო ურთიერთობას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, სალიზინგო კომპანია, რომელიც სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, გასცემს ლიზინგს, დაექვემდებაროს ეროვნული ბანკის რეგულირებასა და ზედამხედველობას, მათ შორის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის კუთხით.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
108.	<p>„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის</p>	<p>კანონპროექტის შემუშავების აუცილებლობა განპირობებულია 2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს „საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობისა და საკრედიტო ინსტიტუტებისა და საინვესტიციო ფირმების პრუდენციული ზედამხედველობის თაობაზე“ 2013/36/EU დირექტივით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების ვალდებულებით, რამდენადაც აღნიშნული</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>გამომდინარეობს</p>

	<p>თაობაზე“ და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>დირექტივით გაუქმდა 2006 წლის 14 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/48/EC დირექტივა საკრედიტო ინსტიტუტების ბიზნესის დაწყებისა და ფუნქციონირების შესახებ, რომელიც, თავის მხრივ, 2014 წლის საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ შესასრულებლად სავალდებულო დირექტივათა სიაშია (ასოცირების შესახებ შეთანხმება; მუხლი 323, დანართი XV-A, A. საბანკო სფერო).</p> <p>საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე, კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შექმნაზე, ბანკის ადმინისტრატორისა და მისი მნიშვნელოვანი წილის შემძენის შესაფერისობის კრიტერიუმები უნდა დაუახლოვდეს ზემოაღნიშნული დირექტივითა და ევროპის საბანკო უწყების (European Banking Authority) მიერ განსაზღვრულ სტანდარტებს.</p>		
109.	<p>„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტებით გათვალისწინებული ცვლილებით, სახელმწიფო სასესხო ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მიმოქცევის მარეგულირებელი დებულებები დაიხვეწება და დაუხლოვდება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>
110.	<p>„უზრუნველყოფილი ობლიგაციების შესახებ“</p> <p>(ახალი კანონპროექტი)</p>	<p>საქართველოში არ არსებობს სპეციალური საკანონმდებლო რეჟიმი, რომელიც დაარეგულირებდა უზრუნველყოფილი ობლიგაციების გამოშვებას. სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ტრადიციული სანივთო უზრუნველყოფის საშუალებები (გირავნობა, იპოთეკა), ამ თვალსაზრისით, არ წარმოადგენს ოპტიმალურ და</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

	<p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>გამოსადეგ ინსტრუმენტს უზრუნველყოფილი ობლიგაციების ემისიისათვის, მათი (გირავნობისა და იპოთეკის) აქცესორული ბუნებისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით. კანონპროექტის საფუძველზე საქართველოში შესაძლებელი გახდება უზრუნველყოფილი ობლიგაციის სპეციალური სახის, Covered Bond-ის გამოშვება, რომელიც საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე კეთილსაიმედო საბანკო პროდუქტად ითვლება. Covered Bond-ების უზრუნველყოფა ხდება კომერციული ბანკის კრედიტორული მოთხოვნებით (ძირითადად, იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხებით), რომლებიც კანონის ძალით გაიმიჯნება ბანკის სხვა აქტივებისგან და რომელთა იძულებით აღსასრულებლად მიქცევაც მხოლოდ ობლიგაციონერების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად იქნება შესაძლებელი. შესაბამისად, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი ობლიგაცია მაქსიმალურად დაიცავს ინვესტორის ინტერესებს, ხოლო, მეორე მხრივ, კომერციულ ბანკს მისცემს წვდომას ალტერნატიულ ლიკვიდურ სახსრებზე, რომლებსაც იგი გამოიყენებს სესხების გასაცემად და სხვა ოპერაციების დასაფინანსებლად. კანონპროექტით, ასევე შესაძლებელი იქნება კომერციული ბანკების თანამონაწილეობით სპეციალური სუბიექტის - რეფინანსირების კომპანიის ჩამოყალიბება, რომელსაც შეეძლება უზრუნველყოფილი ობლიგაციების გამოშვება კომერციული ბანკების კრედიტორული მოთხოვნების (სესხების) აკუმულირების საფუძველზე.</p>	<p>გამოყოფას.</p>	
<p>111.</p>	<p>„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის</p>	<p>კანონპროექტების შემუშავება განპირობებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გადახდისუუნარობის/გაკოტრების, ასევე კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ცვლილების (მათ შორის, გარდაქმნის) და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის საკითხების დარეგულირების საჭიროებით. აღსანიშნავია, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი მოქმედების სფეროსთან მიმართებით რიგ საგამონაკლისო შემთხვევებს ითვალისწინებს, კერძოდ, კანონის მოქმედების სფეროდან გამორიცხულები არიან კომერციული ბანკები და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები, რომელთა გადახდისუუნარობის საკითხი წესრიგდება სპეციალური კანონმდებლობით. აღნიშნული საგამონაკლისო შემთხვევების განსაზღვრის საჭიროება განაპირობა იმან, რომ აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტების ლიკვიდაციისა და გადახდისუუნარობის/გაკოტრების პროცესი სპეციფიკური ბუნებით ხასიათდება და მათი კრედიტორების ბუნებაც და რისკიანობაც განსხვავებულია. ანალოგიური სპეციფიკური ბუნება ახასიათებთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსაც, რის გამოც</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

	<p>თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>აუცილებელი ხდება მათი გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნდეს მხოლოდ ეროვნულ ბანკს და მათი გადახდისუუნაროდ/გაკოტრებულად გამოცხადების საკითხები სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე სპეციალური კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს.</p> <p>არსებული კანონმდებლობით პროცესი ხელოვნურად ორდაა გაყოფილი - მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაცია ეროვნული ბანკის კომპეტენციაშია, მაშინ როდესაც გადახდისუუნარობის/გაკოტრების ნაწილი გამოყოფილია ეროვნული ბანკიდან, რაც პროცესს მოუქნელსა და არაეფექტურს ხდის და ამასთან, აფერხებს პროცესის დროულ და ორგანიზებულ წარმართვას/დასრულებას. აღნიშნული კი წინააღმდეგობაში მოდის ლიკვიდაციის მიზანთან, დროულად მოხდეს კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება და უზრუნველყოფილი იქნას ფინანსური სექტორის სტაბილური და ეფექტური ფუნქციონირება.</p> <p>წინამდებარე ცვლილებები კრიტიკული მნიშვნელობისაა ერთი მხრივ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საზედამხედველო უფლებამოსილებების სრულყოფილად და სათანადოდ განსახორციელებლად და მეორე მხრივ, კრედიტორების დაცვისა და მათი მოთხოვნების დროული და ეფექტური დაკმაყოფილების მიზნებისათვის.</p>		
<p>112.</p>	<p>„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>კანონპროექტი გამომდინარეობს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებიდან (DCFTA). კანონის საფუძველზე იქმნება მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ორგანო - დავების განხილვის საბჭო.</p>	<p>კანონპროექტის მიღება იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>გამომდინარეობს</p>
<p>113.</p>	<p>„საჯარო შესყიდვების შესახებ“</p> <p>(ახალი კანონპროექტი)</p>	<p>ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მე-8 თავის თანახმად, საქართველომ ეტაპობრივად უნდა დაუახლოვოს საკუთარი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას. დაახლოების II ფაზა მოიცავს საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, რისთვისაც მომზადდება ხსენებული კანონპროექტი. გამომდინარე</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>გამომდინარეობს</p>

	(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	იქიდან, რომ არსებითად იცვლება საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა საკითხი, მათ შორის, ინერგება ბევრი ახალი ინსტიტუტი და თავად სფეროს დასახელებაც „საჯარო შესყიდვა“ განიცდის ცვლილებას, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სფეროს მარეგულირებელი ახალი კანონის მიღება, რითაც სრულყოფილად შესრულდება DCFTA-ით ნაკისრი ვალდებულებები საჯარო შესყიდვების სფეროში. მიღებული კანონპროექტი იქნება ერთიანი და მასში მოქცეული იქნება საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი საკითხი და დარგი, კერძოდ, სტანდარტული საჯარო შესყიდვები, საჯარო შესყიდვები კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურების სფეროში, საჯარო შესყიდვები თავდაცვასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის წესი. ამდენად, მთლიანად სფერო თავმოყრილი იქნება ერთი საკანონმდებლო აქტის ქვეშ, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს მის ეფექტიან დანერგვასა და აღსრულებას.		
114.	„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126-ე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრა, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის ვალდებულება, რაც ემსახურება საჯარო მმართველობითი ფუნქციის განმახორციელებელი დაწესებულებებისათვის ინსტიტუციური მოწყობის ერთიანი პრინციპების გავრცელების უზრუნველყოფას. კანონპროექტი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში, გაითვალისწინებს საჯარო სამართლის იურიდიული პირების კატეგორიზაციას, გაწერს მათი დაფუძნების საფუძვლებს და მათთან მიმართებით ადგენს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის გავრცელების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაქვემდებარებისა და მათ საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების, ასევე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონების გავრცელების, მათ შორის დასაქმებული პირების სტატუსის განსაზღვრის საკითხს.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
115.	„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 802-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულია, რომ მზღვეველი მოვალეა ჩააბაროს დამზღვევეს ხელმოწერილი საბუთი დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ (სადაზღვევო მოწმობა – პოლისი). სადაზღვევო პროდუქტების რეალიზაციის პროცესში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მზარდი ტენდენციისა და საქართველოს კანონის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ კანონით	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

	შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)	დადგენილი ნორმების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, სამოქალაქო კოდექსით, რომელიც სადაზღვევო პოლისთან დაკავშირებით ადგენს იმპერატიულ მოთხოვნებს, ცალსახად განისაზღვროს, რომ სადაზღვევო პოლისთან მიმართებაში პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა ექნება კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას ან/და კვალიფიციურ ელექტრონულ შტამს. შესაბამისად, დაგეგმილია 802-ე მუხლის პირველი ნაწილის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება. ამ ცვლილების მიღებით გაიზრდება დისტანციურ გაყიდვებში როგორც მომხმარებლის/კლიენტის, ასევე, მზღვეველის დაცულობის ხარისხი.		
116.	<p>„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	მზღვეველების მიერ ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სადაზღვევო საქმიანობის მართვის მოდელებზე გადასვლის ფორსირებული პროცესის და ამ ტრენდიდან გამომდინარე რისკებთან, საზედამხედველო გამოწვევებთან გამკლავების მიზნით, აუცილებელია გაფართოვდეს და დაკონკრეტდეს ამ მიმართულებით დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილებანი. კერძოდ, შემოთავაზებულია დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს მიენიჭოს უფლებამოსილება დაადგინოს მოთხოვნები/გამოსცეს რეკომენდაციები ა) მზღვეველისა და სადაზღვევო ბროკერის ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების სისტემების მიმართ; ბ) მზღვეველისა და სადაზღვევო ბროკერის მიერ დაზღვევის ხელშეკრულებების ელექტრონულად (დისტანციურად) დადების და მომსახურების პროცესის მიმართ; გ) მზღვეველის მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნქციის სრული ან ნაწილობრივი აუთოსინგის მიმართ, მათ შორის, ძირითად საქმიანობაში გამოყენებული ინფორმაციული სისტემების აუთოსინგული ხელშეკრულებების მიმართ და მათი სამსახურთან შეთანხმების წესი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონპროექტით განსაზღვრულია „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლში შესაბამისი შინაარსის ქვეპუნქტების დამატება.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს
117.	<p>„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	სადაზღვევო პროდუქტის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მდგომარეობაზე ეფექტიანი კონტროლის განხორციელების უზრუნველსაყოფად, რეალურ დროში დაკვირვების ფართოდ გავრცელებული მეთოდის - „იდუმალი მყიდველის“ გამოყენების დაშვება და რეგლამენტირება.	კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.	არ გამომდინარეობს

<p>118.</p>	<p>ერთად)</p> <p>„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>სადაზღვევო კომპანიებში აქტუარული ფუნქციის დანერგვის/აქტუარის ყოლის ვალდებულების საკანონმდებლო დონეზე დაწესება, რაც პირდაპირ უკავშირდება სადაზღვევო ტარიფების და სადაზღვევო რეზერვების ფორმირების, გადაზღვევის და ანდერაიტინგის პროცესების სწორ და კოორდინირებულ წარმართვას, ასევე სადაზღვევო კომპანიებში ყოველწლიური აქტუარული დასკვნის შემუშავება, რაც მოიაზრება წლიური აუდიტის განუყოფელ ნაწილად და აღნიშნულ საკითხზე დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის წინაშე ანგარიშვალდებულება, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სადაზღვევო კომპანიის მდგრადობას (აქტუარი - მათემატიკური სტატისტიკის/სადაზღვევო მათემატიკის სპეციალისტი, რომელიც ფლობს შესაბამის ცოდნას აქტუარული გათვლების თეორიაში).</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>გამომდინარეობს</p>
<p>119.</p>	<p>„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე</p> <p>(აუცილებლობის შემთხვევაში სხვა თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად)</p>	<p>2019 წლის ნოემბრის თვიდან სადაზღვევო ბროკერები დაექვემდებარენ რეგულირებას „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამ კუთხით ზედამხედველობას სადაზღვევო ბროკერებზე ახორციელებს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. ხოლო ეფექტიანი ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს ჰქონდეს შესაძლებლობა გამოიყენოს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სანქციები სადაზღვევო ბროკერის მიერ „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და/ან მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტების დარღვევის შემთხვევაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონპროექტით განსაზღვრულია „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹-ე მუხლში შესაბამისი შინაარსის ქვეპუნქტების დამატება.</p> <p>ამასთანავე, დღეს მოქმედი კანონის რედაქცია ითვალისწინებს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან მზღვეველის მიმართ სანქციის გამოყენების შესაძლებლობას მზღვეველის მიერ მხოლოდ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის შემთხვევაში. ხოლო ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, გარდა უშუალოდ აღნიშნული საკანონმდებლო აქტისა, მოიცავს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ერთიანობას. შესაბამისად, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის</p>	<p>კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.</p>	<p>არ გამომდინარეობს</p>

	<p>დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში არსებითი მნიშვნელობა აქვს მზღვეველის მიერ ხდებოდეს ერთიანი კანონმდებლობის დაცვა ამ სფეროში, ხოლო დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ მეტად მნიშვნელოვანი საზედამხედველო ღონისძიებების - სანქციის გამოყენება იყოს ეფექტიანი, შემაკავებელი ფუნქციის მქონე და პროპორციული. სწორედ ამ მიზნით, მიზანშეწონილია, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილება.</p>		
--	--	--	--